ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი,13 ივნისი, 2018 №138 (7683) ფასი: 50 თეთრი

ოკუპირებული აფხაზეთიდან ანექსირებულ ყირიმში საზღვაო ტვირთების გატანა დაიწყო

გვ.5

12 ივნისიდან

როს მაკდონალდი

შიში

სერია ნამდვილი დეტექტივი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



შეეკრა თუ არა ირაკლი კობახიძის ფრთა გიგა ბოკერიას

გია ხუხაშვილი: „რა არის დროებითი საპარლამენტო კომისიის შექმნის ნამდვილი მიზანი, დასადგენია“

გვ.2

კვირიკაშვილი გადარჩა

გვ.3

რატომ არ განხორციელდა სამთავრობო ცვლილებები

თამარ კორძაია: „კომისიამ არჩილ თალაკვაძეც უნდა დაკითხოს“

გვ.4

სამართალი

გვ.7

მალხაზ მაჩალიკაშვილის განცხადების საფუძველზე სუსმა გამოძიება დაიწყო



ზაზა სარალიძის ადვოკატი: „ვიმედოვნებთ, რომ სასადილოში მომხდარზე მყისიერი რეაქცია იქნება“

როლანდ ბლადაძე და გიორგი პაპუაშვილი მორიგდნენ

ეკონომიკა

გვ.6

თბილისის ხაზებს თვის ბოლომდე 25 ავტობუსი დაემატება

საიდან შემოდის და როგორ რეგულირდება საწვავის ხარისხი საქართველოში

„მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანისთვის ქვეყანაში არაფერი კეთდება“

ISSN 1987-9385

2 საქართველოში სიღარიბის დონე გაზრდილია

5 დაცულ ტერიტორიებზე უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა 38%-ით გაიზარდა

2 წითელი ხიდიდან სარფამდე გადაადგილების დრო 4-4,5 საათამდე შემცირდება

4 არასამთავრობოები თეა წულუკიანს ტრანსფობიური განცხადებების გაკეთებაში ადანაშაულებენ

შეეკრა თუ არა ირაკლი კობახიძის ფრთა გიგა ბოკერიას

შორენა მარსაგიშვილი

დაემსგავსა თუ ახა „ქართული ოცნება" ნაციონალების მოძრაობას, ვინ და რა მიზნით შეექმნა გიგა ბოკერიას საგამოძიებო კომისია, რა პროცესები მიდის მმართველ გუნდში? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.

– 11 ივნისს რუსთაველზე განვითარებული მოვლენების შემდეგ არაერთმა პოლიტიკოსმა განაცხადა, რომ „ოცნება" საბოლოოდ დაადგა ნაციონალების გზას. თქვენ რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

– ჩვენი საზოგადოება ყველაფერს დრამატულად აღიქვამს. ძალიან დრამატული მოვლენები გვაქვს გამოვლილი და, აქედან გამომდინარე, პოლიციის საკმაოდ ჩვეულებრივ მოქმედებებსაც მტკივნეულად ვიღებთ. ეს ძალიან ბუნებრივია, მაგრამ, ტელევიზორს თუ ჩავრთავთ, ვნახავთ, რომ ცივილიზებულ ქვეყნებში პოლიცია უფრო მძიმე ფორმებით შლის აქციებს.

მე ვერ ვიტყვი, რომ 10 და 11 ივნისს ქართული პოლიცია იდეალურად მოქმედებდა, ვერც იმას უარვყოფ, რომ ცალკეულ გადაცდომებს ჰქონდა ადგილი, მაგრამ, საერთო ჯამში, ნაციონალების რეჟიმთან დღევანდელი ხელისუფლების შედარება მართებულად არ მიმაჩნია.

ვიღაცებმა 11 ივნისის ამბავი 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევასაც კი შეადარეს. არადა, ყველას კარგად გვახსოვს ეს დღე. ასეულებით დაჩეხილი ადამიანი იყო მაშინ. გავიხსენოთ თუნდაც კობა დავითაშვილის ისტორია. ის გაიტაცეს, უმოწყალოდ სცემეს და მომაკვდავი გორის სამხედრო ჰოსპიტალში დააგდეს. კობა დავითაშვილი მაშინ პარლამენტის წევრი იყო.

– პარლამენტის წევრი და საკრებულოს დეპუტატი 11 ივნისსაც დაიკავეს და წინა ხელისუფლების წარმომადგენლები ამაზე აპელირებენ სწორედ.

– მათი დაკავების ამსახველი კადრები ყველამ ვნახეთ. საკრებულოს დეპუტატის დაკავების ამბავი განსაკუთრებული იყო. ის პოლიციელებს ხელებითა და ფეხებით ეკავათ, ის კიდევ წამოკოტრიალებული ლამის 15-წუთიან ინტერვიუს იძლეოდა. ძალიან კომიკური სცენა იყო. ასე რომ, საკმაოდ ცივილიზებული იყო ეს პროცესი, ამავე დროს, არის კითხვებიც.

– თქვენ რა კითხვები გაგიჩნდათ?

– კითხვები გამიჩნდა იმ ცნობილ ინციდენტთან, რომელიც 11 ივნისს სასამართლოს სასადილოში მოხდა, როცა ზვიად კუპრავა ძალით გაათრიეს იქიდან. მთლიანობაში ყველაფერი კანონის ჩარჩოებში იყო და არ შეიძლება, „ოცნება" წინა ხელისუფლებას შევადაროთ.

– თავად იმ ფაქტს როგორ უყურებთ, რომ ნაციონალები ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ? არადა, ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა მათი დასჯით უნდა დაწყებულიყო.

– სწორედ ეს არის ჩვენი დღევანდელობის მთავარი ტრაგიკომედია, რომ ნაციონალური მოძრაობა სისასტიკისთვის „ქართული ოცნების" დასჯას ითხოვს.

აქ ძალიან საინტერესო ამბავი გვაქვს – ნაციონალური მოძრაობის ერთი ფრთა ქუჩაში ასამართლებს „ოცნებას" უსამართლობისთვის, ხოლო მეორე ფრთა – პარლამენტში. ეს ხომ სრული აბსურდია.

პირადად ჩემთვის განსაკუთრებით დროებითი საპარლამენტო კომისიის შექმნაა აღმაშფოთებელი.

– ეს რატომ არის უფრო აღმაშფოთებელი, ვიდრე ნაციონალური მოძრაობის ქუჩის აქციები?

– ქუჩის პროტესტი კიდევ რაღაც კონკრეტულ საკითხებს ებმება, მაგრამ ბოკერიამ როგორ უნდა გაასამართლოს „ქართული ოცნების" რეჟიმი სისასტიკისთვის, მართლა არ მესმის.

ჩემი აზრით, გიგა ბოკერიას მიხეილ სააკაშვილზე არანაკლები წვლილი მიუძღვის იმ ურჩხულის შექმნაში, რომელსაც ნაციონალების რეჟიმი ჰქვია. შესაძლოა, ბოკერია ამ პროცესში კიდევ უფრო აქტიური იყო – ის მოქმედებდა, მიშა სააკაშვილი აქეთ-იქით დაბაყუნობდა.

– თუმცა მის გარეშე ბოკერია, ალბათ, არ იმოქმედებდა.

– რა თქმა უნდა, არ იმოქმედებდა და მიშაც ავტორიტარი იყო, მაგრამ ის საშინელი სისტემის მშენებელი არ იყო. ეს ალგორითმი ბოკერიამ და მისმა გუნდმა შექმნეს. ეს ადამიანები აპირებენ, რომ „ქართული ოცნება" სისასტიკისთვის გაასამართლონ. მეტი ცინიზმი რაღა გინდათ.

– ეს მართლაც ცინიკურია, მაგრამ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნასა და იქ ბოკერიას შეყვანას ხომ მხარი თავად „ქართულმა ოცნებამ" დაუჭირა.

– კი ბატონო, ამ კომისიის შექმნას „ოცნებამ" ხელი აუწია, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ეს მთლიანად მმართველი გუნდის გადაწყვეტილება არ იყო.

„ქართული ოცნება" ერთგვაროვანი პოლიტიკური სხეული არ გახლავთ. მის შიგნით ბევრად უფრო დიდი წინააღმდეგობებია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. არსებობენ ინტერესჯგუფები, რომლებსაც ბოკერიასთან თანამშრომლობით ურჩევნიათ პოლიტიკური დივიდენდების მიღება.

მე ვფიქრობ, რომ „ოცნებაში"

გია ხუხაშვილი: „რა არის დროებითი საპარლამენტო კომისიის შექმნის ნამდვილი მიზანი, დასადგენია"

შემავალმა მცირე ჯგუფმა რაღაც კონტრაქტი გააფორმა ბოკერიას ფრთასთან.

– ამ კომისიის შექმნას, სავარაუდოდ, ივანიშვილიც დაუჭერდა მხარს. მასთან შეთანხმების გარეშე მმართველი გუნდი ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა.

– რა არის, იცით? ვიღაცებმა დაიყოლიეს ივანიშვილი. როგორც ჩანს, ხელისუფლება, მთლიანობაში, დაინტერესებულია ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის რეალური გამოძიებით.

ამ საქმის გამოძიება სურს ბიძინა ივანიშვილსაც და, როცა მას შეატყობინეს დროებითი საპარლამენტო კომისიის შექმნის შესახებ, ის დათანხმდა. მან ეს საკითხი პოლიტიკური ჭრილით არ დაინახა.

მან თქვა, ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს და ყველაფერი გააკეთეთ იმისთვის, რომ ეს საქმე იქნეს გამოძიებული. კარგი იქნებოდა, მას ამ საკითხისთვის პოლიტიკური კუთხითაც შეეხედა.

ვინმეს სჯერა, რომ ბოკერიას ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის ამბის გამოძიება აინტერესებს? ის და მისი გუნდი ცდილობენ, ყველაფრიდან სარგებლობა ნახონ. ეს მის ერთერთ თანაგუნდელს წამოსცდა კიდევაც და თქვა, რომ მათი მთავარი ამოცანა ახალი მთავარი პროკურორის დანიშვნაა.

მთავარი პროკურორის დანიშვნა დროებითი საპარლამენტო კომისიის კომპეტენციაში არაფრით შედის.

ასე რომ, ეს კომისია გახლავთ პოლიტიკური ინტრიგა და პოლიტიკური თამაში, რომელსაც, ჩემი აზრით, ნაციონალური მოძრაობა 2 (ასე ვუწოდებ მე „ევროპულ საქართველოს", ეს სახელი უფრო უხდება) და „ოცნების" გარკვეული ჯგუფი ერთობლივად თამაშობენ.

– მიზანი ამ თამაშისა რა არის?

– პოლიტიკური მიზნების მიღწევა და არა ჭეშმარიტებას დადგენა.

– ასეთი დარწმუნებული რატომ ხართ, რომ ამ კომისიის მიზანი ჭეშმარიტების დადგენა არ არის?

– მოდით, მაშინ ასე ვთქვათ, ვის სჭირდებოდა ამ კომისიის შექმნა? ვინმემ საერთოდ მოითხოვა ეს? საზოგადოებას ეს საკითხი დღის წესრიგში არასდროს დაუყენებია. აღარაფერს ვამბობ ზაზა სარალიძეზე.

ამ კომისიის წევრების მიმართ საზოგადოებას ძალიან დაბალი ნდობა აქვს. აქედან გამომდინარე, ეს კომისია არის ინტრიგა და მეტი არაფერი.

– ამბობთ, რომ ეს კომისია ნაციონალური მოძრაობა 2-ისა და „ოცნების" ერთი ჯგუფის ერთობლივი პოლიტიკური თამაშია. „ოცნების" რომელი ფრთა თამაშობს ბოკერიას გუნდთან ერთად?

– მე ვფიქრობ რომ ეს არის „ოცნების" ახალგაზრდული ფრთა. საუბარია პარლამენტის თავმჯდომარესა და მის სამეგობროზე. ისინი ამ ინტრიგაში არიან გაბმული.

– ამას შეგნებულად აკეთებენ თუ შეუგნებლად?

– ამას შეგნებულად აკეთებენ თუ ბოკერიამ წამოიკიდა, არ ვიცი. ეს ამბავი დასადგენია. ფაქტია, ასეთი მოცემულობა მივიღეთ.

– „ოცნების" წევრები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ამ კომისიის შექმნას, არ ფიქრობენ, რომ მისი საქმიანობა შეიძლება მმართველ გუნდს ცუდად შეუტრიალდეს?

– შეიძლება კი არა, ამ კომისიის საქმიანობა „ქართულ ოცნებას" აუცილებლად ცუდად შეუტრიალდება. ნაციონალურ მოძრაობა 2-ში ძალიან გამოცდილი პოლიტიკოსები არიან. მათ შეუძლიათ, მაქსიმუმი ამოქაჩონ ამ საქმიდან და ამით მაქსიმალური დივიდენდი მიიღონ.

მართლა ძალიან ტრაგიკომიკურია, როცა ბოკერია დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს რეჟიმის სისასტიკისთვის დაკითხვაზე დაიბარებს. ამას რომელი ამომრჩეველი და გულშემატკივარი გაიგებს.

– გამოდის, რომ „ოცნება" თავის თავს უჩალიჩებს. თქვენ ახსენეთ წამოკიდებაც.

– „ოცნების" ძირითადი ნაწილი რომ წამოიკიდეს, ფაქტია. რაც შეეხება მცირე ჯგუფს, რომელიც ბოკერიას ფრთას თამაშში ჩაჰყვა, იმათზეა დასადგენი, რა ამოძრავებდათ.

საქართველოში სიღარიბის დონე გაზრდილია

UNICEF-ის მიერ ჩატარებული „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა 2017"-ის თანახმად, 2015 წელთან შედარებით საქართველოში სიღარიბის დონე გაზრდილია, თუმცა, როგორც კვლევაშია აღნიშნული, ქვეყანაში შემცირდა იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც თავს ღარიბად არ მიიჩნევენ.

ეკონომიკის სამინისტროს შეფასებით, კვლევა არ მოიცავს იმ გარემოებას, რომ 2016 წელთან შედარებით, 2017 წელს სიღარიბის დონე საქართველოში შემცირებულია. 2016 წელს სიღარიბის დონის ზრდა ეროვნული ვალუტის გაუფასურების შედეგად სესხის მომსახურების ზრდას უკავშირდებოდა. ამასთან, შემოსავლების ზრდის და დოლარიზაციის შემცირების პოზიტიური ტენდენციები სრულად აღნიშნულ კვლევაში ასახული არაა.

2015 წელთან შედარებით მონეტარული სიღარიბის ზრდის მიუხედავად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სუბიექტური სიღარიბის მაჩვენებლები, კერძოდ 2015 წელს 38.4 პროცენტიდან სუბიექტური სიღარიბე 33.7 პროცენტამდე შემცირდა, რაც იმას გულისხმობს, რომ მოსახლეობის მიერ სიღარიბის დონის აღქმა შემცირებულია.

ეს უკავშირდება რეალური შემოსავლების ზრდას, სამომავლოდ პოზიტიურ მოლოდინებს, რაც აუცილებლად აისახება ხარჯებზე და სიღარიბის მაჩვენებელზე. ამას მოწმობს ოფიციალური სიღარიბის სტატისტიკაც.

აღსანიშნავია, რომ 2015 წელთან შედარებით შემცირებულია მოსახლეობის იმ ნაწილის ხვედრითი წილი, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა, ხოლო გაზრდილია მათი ხვედრითი წილი, ვინც თვლის რომ მისი ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა.

2017 წელს ხარჯების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ტენდენცია ფიქსირდება – 14.8 პროცენტით (რეალურ გამოხატულებაში კი 20.1 პროცენტით) შემცირდა შინამეურნეობების მიერ გაწეული გრძელვადიანი ხარჯები, რაც ნიშნავს სესხის მომსახურების ხარჯებს.

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს საბანკო ხარჯები საზოგადოების ყველა ფენისთვის შემცირდა. მათ შორის, ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისთვისაც შემცირდა სესხის მომსახურების ხარჯი. აღნიშნული საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული რეფორმების შედეგია, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შემცირდა დოლარიზაციისა და მოწყვლადობის დონე.

კომერსანტი

წითელი ხიდიდან სარფამდე გადაადგილების დრო 4-4,5 საათამდე შემცირდება

თუ დღეს წითელი ხიდიდან სარფამდე მონაკვეთის დასაფარად 7-8 საათია საჭირო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ეს დრო 4-დან 4,5 საათამდე შემცირდება.

ამის შესახებ საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი ქარსელაძემ დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრაზე განაცხადა.

ინფრასტრუქტურის სამინისტრომ დაგეგმილი მასშტაბური პროექტები დიპლომატიურ კორპუსს გუშინ გააცნო. სამინისტრო რიკოთის საუღელტეხილო და ქვეშეთი-კობის მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოებზე ტენდერებს უახლოეს მომავალში გამოაცხადებს. ამ პროექტების მშენებლობაზე ჯამში 2 მილიარდ დოლარამდე დაიხარჯება. პროექტები დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელდება.

როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რიკოთის პროექტის განხორციელება 2018-2021 წლებში იგეგმება.

– შემცირდება კორიდორის მთლიანი სიგრძე, შემცირდება გადაადგილების დრო და თუ დღეს წითელი ხიდიდან სარფამდე მონაკვეთის დასაფარად 7-8 საათია საჭირო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ეს დრო 4-დან 4,5 საათამდე შემცირდება. მთელ რიგ მონაკვეთებზე გადაადგილების სიჩქარე 80-100%-ით გაიზრდება, ფაქტობრივად, გაორმაგდება. იქნება ოთხზოლიანი გზები, სადაც უსაფრთხოდ გადაადგილდებიან როგორც ჩვენი მოქალაქეები, ისე ქვეყნის სტუმრები, – აღნიშნა ირაკლი ქარსელაძემ.

ბპნ

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

კვირიკაშვილი გადარჩა

რატომ არ განხორციელდა სამთავრობო ცვლილებები

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ, 12 ივნისს, სრულიად საქართველო სამთავრობო ცვლილებების მოლოდინში იყო. ინფორმაცია მოსალოდნელ ცვლილებებზე დილიდან გავრცელდა.

პირველი რადიოს მიერ დილით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პრემიერ-მინისტრი თანამდებობას დატოვებს. გიორგი კვირიკაშვილთან ერთად მინისტრთა კაბინეტს დატოვებენ იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე და კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძე.

დილით გავრცელებული ინფორმაციითვე, პრემიერის მოვალეობას ვიცეპრემიერი და შს მინისტრი გიორგი გახარია შეასრულებს. პირველი ვიცეპრემიერი ფინანსთა მინისტრი მამუკა ბახტაძე გახდება. რამდენიმე დღეში კი პარლამენტი უკვე ახალ, გახარიას მინისტრთა კაბინეტს დაამტკიცებს.

აღსანიშნავია, რომ გახარიას გაპრემიერებაზე დიდი ხანია საუბრობენ. „ქართულ ოცნებაში“ ამბობდნენ, რომ კვირიკაშვილის პრემიერობა გაზაფხულზე დასრულდებოდა.

აქედან გამომდინარე, მოსალოდნელ ცვლილებებზე გავრცელებული ინფორმაცია არავის გაჰკვირვებია. მოსალოდნელ ცვლილებებზე თავად მმართველი გუნდის წევრებიც საუბრობდნენ.

– სამთავრობო ცვლილებები საჭიროა, რადგან მოთხოვნაა საზოგადოებაში, ამხელა პროტესტია, – განაცხადა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ჭიჭინაძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ნუკრი ქანთარიას განცხადებით, პროცესებიდან გამომდინარე, ცვლილებების დრო დგება.

– ყურში არავის უჩურჩულებია სამთავრობო ცვლილებებზე. ვნახოთ, რა საკითხებს განვიხილავთ. უმრავლესობაში ასეთი შეხვედრა ხშირად ტარდება. პროცესებიდან გამომდინარე, ცვლილებების დრო დგება, მაგრამ კონკრეტულად რომელი და რანაირად, ამაზე ვერ ვისაუბრებ.

ცვლილება შიგნით იქნება თუ ეს კადრების გადაადგილებას გამოიწვევს, ეს შესაძლებელი მგონია, რადგან გარკვეულ ეტაპზე საჭიროა რაღაც განახლება. მიმდინარე პროცესებმა ბევრი რამ გააშიშვლა და ბევრი პრობლემა აჩვენა, რაც საჭიროებს გადახედვას და არა თვალის დახუჭვას, – განაცხადა უმრავლესობის სხდომის დაწყებამდე ქანთარიამ.

ცვლილებების საჭიროებაზე საუბრობდა „ოცნების“ კიდევ ერთი ლიდერი ზაქარია ქუცნაშვილიც.

– თვისობრივი ხასიათის ცვლილებები აუცილებელია, თან მთელი რიგი მიმართულებით, – აცხადებს ქუცნაშვილი.

მისი თქმით, სამთავრობო ცვლილებებთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გაკეთდება.

– ამის თაობაზე ოფიციალური განცხადება გაკეთდება. უმრავლესობის წევრებს მივცეთ საშუალება, რომ წაიმუშაონ. მე ვფიქრობ, თვისობრივი ხასიათის ცვლილებები აუცილებელია, თან მთელი რიგი მიმართულებით. დანარჩენზე ოფიციალური განცხადება გაკეთდება, – აღნიშნა სხდომის დაწყებამდე ქუცნაშვილმა

მთავრობაში მოსალოდნელ ცვლილებებზე გავრცელებული ინფორმაცია არც ეკა ბესელიას გაჰკვირვებია.

– დაველოდოთ, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ, – აღნიშნა დეპუტატმა.

მთავრობაში მოსალოდნელ ცვლილებებზე გავრცელებულ ინფორმაციას ზაზა სარალიძის მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც ამყარებდა. 11 ივნისს, გვიან საღამოს, მან განაცხადა, რომ 19 ივნისამდე ის საპროტესტო აქციებს წყვეტდა. ყველამ ჩათვალა, რომ მან მთავრობაში მოსალოდნელ ცვლილებებზე მიიღო ინფორმაცია.

გავრცელებული ინფორმაციით, ცვლილებებზე უმრავლესობის დახურულ შეხვედრაზე უნდა ემსჯელათ. ამ შეხვედრამ 3 საათი გასტანა. ერი 3 საათი ელოდა გადაწყვეტილებას. მოლოდინი ამაო აღმოჩნდა. მთლად უფროსმა არავისი შეცვლა არ ისურვა.

სამსაათიანი შეხვედრის დასრულების შემდეგ საინტერესო და საოცარი კომენტარი გააკეთა უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან კობერიძემ.

მას თუ დავუჯერებთ, უმრავლესობა 3 საათი იუნისეფის მიერ ჩატარებულ კვლევაზე მსჯელობდა.

აღსანიშნავია, რომ იუნისეფის „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ ბოლო ეტაპზე მიღებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში სიღარიბის მაჩვენებლები გაიზარდა.

უმრავლესობა რომ ამ კვლევაზე მსჯელობდა, ეს ინფორმაცია ეკა ბესელიამაც დაადასტურა, თუმცა, ისიც თქვა, რომ სხვა საკითხებიც იქნა განხილული, რასაც ვერ გააჟღერებს.

– ვისაუბრეთ ბევრ საკითხზე, ვისაუბრეთ ამ კვლევაზეც, მათ შორის, ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე, მაგრამ მე ვერ ვისაუბრებ იმაზე, რაზეც ვისაუბრეთ შიგნით.

– ეს არის შიდა შეხვედრა, ეს არის შიდაპარტიული დისკუსია და მე არ მიმაჩნია ეთიკურად, რომ ვისაუბრო ამაზე... მომავალში ვერაფერს გამოვრიცხავ და ცვლილებების საჭიროებას შეიძლება სხვადასხვა მიმართულებით ზოგადად ვხედავდეთ, მაგრამ დღეს არ ვსაუბრობ ამაზე, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

ქუცნაშვილის განცხადებით, დახურულ შეხვედრაზე სამთავრობო ცვლილებებზეც იყო საუბარი.

– შიგადაშიგ საკადრო ცვლილებებზეც იყო საუბარი. წინადადებები და მოსაზრებები იყო ამის თაობაზე, თუმცა განხილვა არ ყოფილა, მათ შორის არც პრემიერ-მინისტრის გადადგომაზე. უმრავლესობის სხდომაზე ყველა საკითხზე ვმსჯელობთ, რაც კი აქტუალურია.

საუბარი იყო ეკონომიკურ მაჩვენებლებსა და იმ შედეგებზე, რამაც ჩვენი მოსახლეობის ჭარბვალიანობა გამოიწვია. გვჭირდება ეფექტური ზომები, რომ დავიცვათ მოსახლეობა ამისგან, რადგან ჭარბვალიანობა სიღარიბის ერთ-ერთი მიზეზია, – განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის მტკიცებით, სამთავრობო ცვლილებებზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა.

– უმრავლესობის სხდომაზე ჩვენ განვიხილეთ ყველა მიმდინარე საკითხი. რაც შეეხება სამთავრობო ცვლილებების საკითხს, არ ყოფილა დღის წესრიგში განხილვის საგანი. შესაძლოა, ზოგიერთ დეპუტატს აქვს მოსაზრება ამ ცვლილებებთან დაკავშირებით, მაგრამ, მე გეუბნებით, რომ ამ საკითხის განხილვა არ ყოფილა, – აღნიშნა თალაკვაძემ.

მიკროავტობუსს, რომელიც გომბორის უღელტეხილზე გადაბრუნდა, სავალდებულო ტექდათვალიერება გავლილი არ ჰქონდა



– მიკროავტობუსს, რომელიც 9 ივნისს გომბორის უღელტეხილზე გადაბრუნდა, სავალდებულო ტექდათვალიერება გავლილი არ ჰქონდა.

ამის შესახებ ეკონომიკის სამინისტროს სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ხელმძღვანელმა მიხეილ ხმალაძემ განაცხადა.

მისი თქმით, მიკროავტობუსში სანომრე ნიშნით OO-540-ON დარღვეული იყო ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნაც, რაც ტრანსპორტში მგზავრთა რაოდენობას განსაზღვრავს.

სახმელეთო ტრანსპორტის სამსახური მოსახლეობას მოუწოდებს, მგზავრობამდე მძღოლს მოსთხოვონ დამადასტურებელი ცნობა ტექდათვალიერების გავლის შესახებ.

ცნობისთვის, 3 დღის წინ მომხდარ ავარიას 4 ადამიანი ემსხვერპლა. მათგან ერთი არასრულწლოვანი იყო. ისინი სასკოლო ექსკურსიაზე მიდიოდნენ.

მიკროავტობუსის მძღოლი დაკავებულია. გამოძიება 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით მიმდინარეობს, რაც 10 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

საქართველოს საჰაერო სივრცის დატვირთვა 10.5%-ით გაიზარდა

2018 წლის 5 თვის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოს საჰაერო სივრცეში ფრენების რაოდენობა 10.5 %-ით არის გაზრდილი. სტატისტიკა გაუმჯობესებულია როგორც გადაფრენების ასევე, აფრენა-დაფრენის მიმართულებით. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „საქაერონავიგაცია“ ავრცელებს.

2018 წლის იანვარი-მაისის პერიოდში საქართველოს საჰაერო სივრცეში შესრულდა 57.919 ინსტრუმენტალური ფრენა. აღნიშნული მაჩვენებელი 5.500 ფრენითა და 10.5%-ით მეტია 2017 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე.

ბოლო ხუთი თვის განმავლობაში შესრულებული გადაფრენების რიცხვი 41.925 ფრენას შეადგენს, რომელიც 2017 წლის მაჩვენებელზე 2.246 ფრენით, ანუ 5.7%-ით მეტია, აფრენა-დაფრენის რაოდენობა კი 15.994-ია, რაც 2017 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 3.254 ფრენით, ანუ 25.5%-ით არის გაზრდილი.

საქართველოს საჰაერო სივრცეში ნაფრენი დისტანცია იანვრიდან მაისის ჩათვლით 16.385.340 კმ-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი 32.454 კმ-ითა და 0,2%-ით ნაკლებია გასული წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე, რაც შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ დანერგილი თავისუფალი მარშრუტების კონცეფციის დადებითი შედეგია.

საქართველოში 14 ათასი ბავშვი ბაღში ვერ დადის — რა წერია იუნისეფის კვლევაში

გაერო-ს ბავშვთა ფონდმა ჩაატარა მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა, სადაც ნათქვამია:

– სოციალური დახმარებები გახდა უფრო მიზნობრივი და ბავშვის დანამატთან ერთად ხელს უწყობს ბავშვთა სიღარიბის შემცირებას; მიზნობრივი სოციალური დახმარება უკეთ ხედავს ბავშვიან ღარიბ ოჯახებს; სიღარიბის დონე გაიზარდა მოსახლეობის ყველა ჯგუფისთვის; მოსახლეობისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა ჯანდაცვის მომსახურებები; შემცირდა სხვაობა სოფელსა და ქალაქს და მდიდარ და ღარიბ მოსახლეობას შორის სკოლამდელ დაწესებულებში ჩართულობის თვალსაზრისით, თუმცა საბავშვო ბაღების არარსებობის გამო დაახლოებით 14 000 ბავშვი კვლავ ვერ დადის სკოლამდელ საყმზრდელო დაწესებულებაში – ეს არის იუნისეფის მიერ დღეს წარმოდგენილი მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის ზოგიერთი შედეგი.

მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა ტარდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ და სწავლობს ოჯახებს საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე. 2017 წლის კვლევამ შეისწავლა სამომხმარებლო სიღარიბის, სუბიექტური სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის მაჩვენებლები.

– ბავშვები კვლავაც რჩებიან ყველაზე დაუცველ ჯგუფად საქართველოში, – აღნიშნა ლაილა ომარ გადმა, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში. „ბავშვთა სიღარიბის შესამცირებლად აუცილებელია ყოვლისმომცველი სოციალური დაცვის სისტემა, ასევე უნდა გაიზარდოს ბავშვთა დახმარება როგორც მოცულობის, ასევე დაფარვის თვალსაზრისით. ამავდროულად, უნდა გაუმჯობესდეს ოჯახის მხარდაჭერის მომსახურებები და ბავშვზე ზრუნვის სისტემა, რათა ბავშვიან ოჯახებს საქართველოში მეტი მხარდაჭერა ჰქონდეთ“.

მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის ძირითადი მიგნებებია:

ზოგადი სიღარიბის მაჩვენებლები ქვეყანაში გაიზარდა, ძირითადად შენელებული ეკონომიკური ზრდის, უმუშევრობისა და სამომხმარებლო ფასების ზრდის გამო.

შემოსავლის რეალური ზრდის გამო, ხალხი ნაკლებად მიიჩნევს თავს ღარიბად.

მოსახლეობის მიერ ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები გაიზარდა. მედიკამენტების შეძენა კვლავ რჩება ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების მთავარ კომპონენტად.

ეკონომიკურ სირთულეებთან თავის გართმევის მიზნით, უფრო მეტი ოჯახი მიმართავს სესხს. ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება (ბანკები და ლომბარდები) გაიზარდა ღარიბ ოჯახებში.

საბავშვო ბაღში დასწრებასთან დაკავშირებით შემცირდა სხვაობა ღარიბ/მდიდარ და ქალაქად/სოფლად მცხოვრებ ბავშვებს შორის.

ღარიბ ოჯახებში მცხოვრებ 3-5 წლის ასაკის 10 ბავშვიდან 6-ს საბავშვო წიგნები ან საერთოდ არ აქვს, ან აქვს არასაკმარისი რაოდენობით.

ღარიბი მოსახლეობის 15-18 წლის ასაკის ყოველი მეხუთე ბავშვი აღარ არის ჩართული საგანმანათლებლო სისტემაში.

„მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ მონაცემების საფუძველზე შემუშავდება რეკომენდაციები სოციალური დაცვის, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების შემდგომი გაძლიერებისათვის, – ნათქვამია კვლევაში.

პროტესტი ჭიათურაში პოლიციის წინააღმდეგ ახალგაზრდებმა პირი ამოიკერეს

გუშინ ჭიათურაში სამმა ახალგაზრდამ პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართა და 9-დღიანი შიმშილობის შემდეგ პირი ამოიკერა.

ახალგაზრდები 26 მაისს დაკავებული თემურ გოშაძის გათავისუფლებას ითხოვენ. მოქალაქეების თქმით, რამდენიმე წუთის წინ, მათ ჭიათურის პოლიციის შენობის წინ კარვის გაშლის მცდელობა ჰქონდათ, თუმცა პოლიციის მაღალჩინოსნებმა ამის საშუალება არ მისცეს და კარავი დაულეწეს.

მოქალაქე ბექა ჭუმბურიძე „ნიუპოსტთან“ აცხადებს, რომ თემურ გოშაძის გათავისუფლების გარდა, აქციის მონაწილეები ჭიათურის პოლიციის უფროსისა და მისი მოადგილის სამსახურიდან წასვლას მოითხოვენ.

– სამმა ახალგაზრდამ პროტესტის ნიშნად პირი ამოიკერა. დღეს რამდენიმე მოქალაქემ გადაწყვიტა, შეერთებოდა მათ. ისინი პოლიციის წინ დადგმულ კარავში იმყოფებოდნენ, როცა პოლიციის მოადგილე მოვიდა და დაგვიშალა კარავი, – აღნიშნა ბექა ჭუმბურიძე.

რესპოდენტის განცხადებით, მათი პროტესტი რამდენიმე დღის წინ 26 მაისს დაიწყო, როცა პოლიციასა და ახალგაზრდებს შორის ინციდენტი მოხდა.

ჭუმბურიძის ნაამბობის თანახმად, პოლიცია ახალგაზრდებს ჭიათურაში, აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული სკვერში დაუპირისპირდა.

ბექა ჭუმბურიძის განცხადებით, ჭიათურის პოლიციის უფროსის მოადგილემ მთელი საპატრულო და სამხარეო პოლიციის დახმარებით, სულ 9 ადამიანი დააკავა, მათგან 8-ს ბრალი წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლით წაუყენეს და მალევე გაათავისუფლეს, ხოლო თემურ გოშაძეს ბრალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს ედავებიან. აღნიშნული ბრალი პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევას და ჯანმრთელობის დაზიანებას გულისხმობს.

– გოშაძეს 2-დან 5 წლამდე პატიმრობა ემუქრება, ვითხოვთ მის დაუყოვნებლივ გამოშვებას ადმინისტრაციულით და რაც მთავარია, ვითხოვთ დაისაჯონ ის მაღალჩინოსნები, რომლებიც ამ ყველაფრის შემოქმედები არიან, – თქვა ჭუმბურიძემ.

აღსანიშნავია, რომ გოშაძე გეგუთის ციხეში გადაიყვანეს, სადაც მან შიმშილობა გამოაცხადა.

როგორც 26 მაისის ინციდენტის მონაწილეები აცხადებენ, ისინი თავად არიან პოლიციის მიერ ნაცემი. საქმეს დასავლეთ საქართველოს პროკურატურა იძიებს.

თამარ კორძაია: „კომისიამ არჩილ თალაკვაძეც უნდა დაკითხოს“

ნათია ხურცილავა

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, იურისტი თამარ კორძაია, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ქალბატონო თამარ, ზაზა სარალიძის ადვოკატი აცხადებს, რომ მათ აქვთ განცდა, სამართლებრივი შედეგი დადგება. თქვენ როგორი მოლოდინი გაქვთ, ხელისუფლება მზად არის, არსებული ვითარება გამოასწოროს?

– ხელისუფლების მხრიდან რაღაც ტიპის მოძრაობა იგრძნობა. მირზა სუბელიანი რომ დააკავეს, ეს არის თითქოს წინ გადადგმული ნაბიჯი, მაგრამ აქ არის კითხვები და ამ კითხვებზე პასუხები არ არის.

– თქვენ რა კითხვა გაქვთ?

– საუბარია იმაზე, რომ მირზა სუბელიანი საქმის მტკიცებულებების გაყალბებაში მონაწილეობდა, მაგრამ ჯერ ვერ ვხედავთ მის მიმართ ამ ტიპის ბრალდებას. ახლა ამ პროცესში მთავარი და მნიშვნელოვანი არის ის, რომ ზაზა სარალიძე სრულიად სამართლიანად ითხოვს თავისი შვილის მკვლელობის სრულყოფილ გამოძიებას, მაგრამ მისი შვილის მკვლელობის საქმემ გაცილებით უფრო მეტი პრობლემა გამოავლინა. ეს პრობლემა კი სისტემურია, რაზეც ხელისუფლების მხრიდან პასუხი არ მიგვიღია. მთელ ამ საქმეში მთავარი კითხვაა – რით ახდენდა მირზა სუბელიანი გავლენას გამოძიებაზე? როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, საკითხი ეხება ვანო მერაბიშვილის საკნიდან გაყვანას, რითაც ის ახდენდა ზეწოლას გამოძიებაზე.

– თუმცა, როდესაც ამაზე ჟურნალისტებმა ჰკითხეს, თქვა, რომ ეს გამოგონილია.

– რა თქმა უნდა, სუბელიანი არ აღიარებს ამ ფაქტს, რადგან ეს ძალიან სერიოზული ბრალდებაა იმავე მირზა სუბელიანის მიმართ. ეს გარემოება მას გაცილებით დაუმძიმებს ბრალს, ეს

დაამძიმებს ხელისუფლების მდგომარეობას და ამ საკითხზე მთავრობის არც ერთ წევრს არ აწყობს საუბარი.

ამ პროცესში პოლიტიკოსების მონაწილეობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სწორედ ამიტომ არის, რომ ეს შეკითხვები ჩვენ, პოლიტიკოსებმა, უნდა დავსვათ და პასუხებიც უნდა მოვითხოვოთ საზოგადოებასთან ერთად. ამ შეკითხვების დასმა და პასუხების მოთხოვნა ამ შემთხვევაში ზაზა სარალიძის ვალდებულება კი არ არის, ეს ჩვენი ვალდებულებაა და ჩვენ ვსვამთ ამ შეკითხვებს, თუმცა პასუხები ჯერ არ ჩანს.

იმ პერიოდში მირზა სუბელიანი სასჯელაღსრულების სამინისტროში გენერალური ინსპექციის უფროსი იყო. ამიტომ, წარმოუდგენელია, რომ მას ამ საკითხზე არ ჰქონდეს ინფორმაცია. რაც შეეხება კონკრეტულად იმას, აქვს თუ არა მირზა სუბელიანს მერაბიშვილის ციხიდან გაყვანის ვიდეოკადრები შენახული, ეს ამ შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვანია. რაც მთავარია, ის იყო იმ თანამდებობაზე, რომ მომხდარ ფაქტზე სრულად იქნება ინფორმირებული.

ვანო მერაბიშვილი რომ ნამდვილად გაიყვანეს, ეს ფაქტი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით დაადასტურა. ახლა იქამდე მივდივართ, რომ ამ საკითხზე მირზა სუბელიანი არსებითი მოწმეა. ყველაზე საშიში ამ პროცესში არის ის, რომ ხელისუფლება არ დაადგეს იმ გზას და ფორმალური ვალდებულებით არ ჩასვას მირზა სუბელიანი საპყრობილეში. საქმე უფრო მნიშვნელოვანს ეხება და ეს მნიშვნელოვანი არ უნდა გამოგვრჩეს.

– და რა არის ეს მნიშვნელოვანი?

– სისტემა არ უნდა წავიდეს ადამიანის, პიროვნების წინააღმდეგ. ადამიანის წინააღმდეგ არ უნდა ჩაიდინოს დანაშაული, პირიქით, სისტემა უნდა იცავდეს ადამიანს.

– ცვლილებებზეც უნდა გკითხოთ, თქვენ რა მოლოდინი გაქვთ?

– თუ ამ შეკითხვებზე არ იქნება რეალური, გულწრფელი პასუხები, ცვლილებებით, რაოდენ მასშტაბურიც

და მაღალი დონის უნდა იყოს ეს ცვლილებები, თვისობრივად არაფერი შეიცვლება.

– ელოდებით პასუხებს?

– სამწუხაროდ, არა და აგიხსნით, რატომ: როდესაც ვანო მერაბიშვილის გაყვანის ფაქტი მოხდა და ეს ევროსასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით დაადასტურა, მაშინ სასჯელაღსრულების მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე არჩილ თალაკვაძე იყო. არჩილ თალაკვაძე კი დღეს იმ საგამოძიებო კომისიის წევრია, რომელმაც უნდა გამოიძიოს სარალიძის საქმე. არადა, არჩილ თალაკვაძე ამ კომისიამ უნდა დაკითხოს მტკიცებულებების გაყალბებასთან დაკავშირებით, რაც კავშირშია მერაბიშვილის ფაქტზე. რამდენად ობიექტური შეიძლება იყოს თალაკვაძე, როდესაც მას ასევე აწყობს მერაბიშვილის საკითხის მიჩქმალვა, რადგან მისი პასუხისმგებლობის საკითხიც დგება. აი, ამ საკითხებზე პასუხს ველოდებით ჩვენ.

ჩვენ, პოლიტიკოსები, ნამდვილად არ ვართ აღვსილნი კონკრეტულ დამნაშავე ბავშვებზე შურისძიების წყურვილით. აქ მნიშვნელოვანია სიმართლის გარკვევა. თუმცა, ხელისუფლების მხრიდან სიმართლის გარკვევის სურვილი ჯერ არ ჩანს. ჯერ ჩანს მხოლოდ აღშფოთებული და პროტესტის გამომხატველი ადამიანებისთვის გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილების მცდელობა ფარისევლურად. დიახ, ფარისევლურად, რადგან მთავარ შეკითხვებზე, რომლებსაც ახლა ვსვამ, პასუხები არ მიგვიღია.

– ამ საქმემ შეიძლება პოლიტიკური რყევები გამოიწვია, როგორც თავის დროზე გირგვლიანის საქმემ?

– არა, ეს არ არის იმ მასშტაბის პოლიტიკური რყევა. თუ ცვლილებები მოხდა, მას მხოლოდ ერთადერთი მიზანი ექნება – ძალაუფლების შენარჩუნება. თუმცა, მას შედეგი არ ექნება. „ქართული ოცნებას“ რომელი წევრი წარმართავს ხელისუფლებას, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენ, უნდა დავინახოთ, რომ „ქართული ოცნება“ არსებითად იცვლება. ის ცვლის მიდგომებს, ის ცვლის პოლიტიკას და მზად არის, თვალი სიმართლეს გაუსწოროს. ჯერ ეს არ ჩანს.

– ეს საქმე გაკვეთილი შეიძლება იყოს?

– ეს უნდა დავინახოთ. თუ ბიძინა ივანიშვილი ამ არეულობას თავის სასარგებლოდ გამოიყენებს, ეს ვერ იქნება გაკვეთილი. ხელისუფლება მშვიდად იყო, რადგან ვანო მერაბიშვილის საქმე მიძინებული იყო, არავის არ ახსოვდა და უცებ ჰაერიდან ამოვარდა. კაცმა არ იცის, სად, როდის ამოტივტივდება მსგავსი მიჩქმალული საქმეები.

– როგორ ფიქრობთ, რატომ არ ჩანს აქტიურად ივანიშვილი, საზოგადოებას ხომ უთხრეს, რომ ის გარკვეული პროცესების დასალაგებლად, დასამშვიდებლად დაბრუნდა?

– დაბრუნდა, როგორც პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარე, მაგრამ კომენტარებს არ აკეთებს მიმდინარე პროცესებზე, რადგან ვერ აცნობიერებს, რომ პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარეც ვალდებულია, ჟურნალისტების, საზოგადოების შეკითხვებს უპასუხოს.

– მით უფრო, თუ პარტია მმართველია.

– დიახ, რა თქმა უნდა!

– როგორი პროგნოზი გაქვთ, უფრო გააქტიურდება?

– არც ერთი გადაწყვეტილება მის გარეშე არ მიიღება. უმრავლესობის სხდომამაც დაადასტურა, რომ ის მიმდინარე პროცესებში ჩართულია. ვნახოთ, დაველოდოთ, იმ კითხვებზე, რომლებიც არსებობს, მივიღებთ თუ არა პასუხებს.

მოსაშვილის ქუჩაზე სროლა იყო

გუშინ მოსაშვილის ქუჩაზე, ვაკის პარკის მახლობლად, სროლა იყო.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თვითმხილველმა აცნობა.

მისი ინფორმაციით, ერთ-ერთი მოქალაქე მანქანის მიმართულებით ისროდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოში შემოვიდა შეტყობინება თბილისში, ი. მოსაშვილის ქუჩაზე მომხდარ სროლის ფაქტთან დაკავშირებით. აღნიშნულ ქუჩაზე ოპერატიულად გამოცხადდნენ პოლიციის თანამშრომლები და ექსპერტ-კრიმინალისტები.

პოლიციამ შემთხვევის ადგილის მიმდებარე პერიმეტრი დაიცვა, ექსპერტ-კრიმინალისტებმა კი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ტყვიის ცხრა მასრა ნივთმტკიცებად ამოიღეს, რომლებზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზა. გასროლის შედეგად არავინ დაშავებულა. გამოძიების ფარგლებში, პოლიციის მიერ მიმდინარეობს ფაქტის თვითმხილველთა გამოკითხვა.

ირაკლი ნადირაძე ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს

თბილისის საკრებულოს წევრი ნაციონალური მოძრაობიდან ირაკლი ნადირაძე ხელწერილის საფუძველზე გათავისუფლებულია. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს.

– 11 ივნისს რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობასთან გამართულ აქციაზე, ადმინისტრაციული წესით დაკავებული თბილისის საკრებულოს წევრი ნაციონალური მოძრაობიდან ირაკლი ნადირაძე ხელწერილის საფუძველზე გათავისუფლებულია, – განმარტავენ უწყებაში.

ბათუმში ერთი დღის განმავლობაში ორ მოქალაქეს ოქროს ყელსაბამი ჩამოგლიჯეს

ბათუმში ქურდობის ფაქტებმა იმატა. მოსახლეობის ინფორმაციით, ერთი საათის შუალედში ორ მოქალაქეს ოქროს ყელსაბამი ჩამოგლიჯეს.

თვითმხილველთა ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცი გოგონას 26 მაისისა და ჭავჭავაძის ქუჩების კვეთაში დაესხა თავს. გოგონამ თავდამსხმელს წინააღმდეგობა გაუწია საბოლოო ჯამში, მძარცველს ოქროს ნივთი დაუვარდა და გაქცევა ამჯობინა.

შემთხვევიდან რამდენიმე წუთში, იგივე ტერიტორიაზე, სავარაუდოდ, იგივე პიროვნება სხვა გოგონას დაესხა თავს და ამჯერად, ოქროს ნივთების წაღება მოახერხა.

გამოძიება 168 მუხლით მიმდინარეობს, რაც ძარცვას გულისხმობს. დამნაშავე ჯერ დაკავებული არ არის.

არასამთავრობოები თეა წულუკიანს ტრანსფობიური განცხადებების გაკეთებაში ადანაშაულებენ

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს ტრანსფობიური განცხადების გაკეთებაში ადანაშაულებენ და მის თანამდებობიდან გადადგომას მოითხოვენ.

მესამე სექტორის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ წულუკიანი ლგბტ თემის ინტერესებს შესაბამისად ვერ იცავს.

– ჩვენ მოვისმინეთ მისგან ტრანსფობიური განცხადებები, იმ მინისტრისგან, რომლისგანაც ჩვენ და თემის წევრები იდეაში სულ სხვა პასუხს ველოდებოდით. პასუხს იმაზე, როგორ აპირებს სქესის შეცვლის პროცედურის გამარტივებას ამ ადამიანებისთვის, – განაცხადა „ქალთა მოძრაობის“ წევრმა, იდა ბახტურიძემ.

არასამთავრობოების შეფასებით, იუსტიციის მინისტრი სქესის ჩანაწერთან დაკავშირებით ტრანსგენდერი ადამიანების მოთხოვნას არ ითვალისწინებს.

–ეს არის ძალიან შეურაცხმყოფელი ქალბატონი თეა წულუკიანის მხრიდან, იმიტომ, ის ტრანსგენდერ ადამიანებს ადამიანებად არ გვთვლის, არ გვაძლევს საშუალებას, რომ ჩვეულებრივი, სტაბილური ცხოვრებით ვიცხოვროთ, გვიქმნის პრობლემებს, – განაცხადა „სამოქალაქო თანასწორობის“ წარმომადგენელმა მონიკა დიონმა.

მედიანიუსი

ასკეცად გვიჯობს გავწიოთ ჭაპანი ერისკაცისა

50 წლის წინ, დიდი ზეიმით რომ აღინიშნა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი, გამიჩნდა სურვილი, 800 სტრიქონიანი ლექსი მიმეძღვნა რუსთაველისთვის, რისი გამოქვეყნებაც შესავლის სახით (და არა სრულად) დავაპირე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობისას უნივერსიტეტის გაზეთში, მაგრამ ვერ გავბედე, მხოლოდ იმიტომ, რომ ვაითუ რუსთაველისთვის საკადრისი საჩუქარი არ გამომსვლოდა. ერგასი წლის ნაფიქრალით კი გადავწყვიტე, შევასრულო ჭაბუკური ოცნება და გამოვაქვეყნო 800-ის ნაცვლად უკვე 850 სტრიქონი და ორიგინალური საჩუქარი მივუძღვნა 850 წლის შოთა რუსთაველს. 300 სტრიქონს 2017 წლის XI-XII და 2018 წლის თებერვლის თვეებში მკითხველი გაეცნო გაზეთებში „საქართველოს რესპუბლიკა“, „საქართველო და მსოფლიო“, „ქრონიკა“. ახლა გთავაზობთ 125-ს, რითაც სანახევროდ შევასრულე საჩუქარი, დარჩენილსაც 425 უახლოეს ხანში შემოგთავაზებთ.

ჩემი ცხოვრების მანძილზე ხან მიწა მოვაგორაკე,
ხანაც ვენახი გავხადე ქვეყნისთვის სალაპარაკე,
აწი კი მინდა ვაქციო მგოსნების სააგარაკე,
რომ სიამაყით ამოვთქვა – შოთაც კი ვალაპარაკე.

ხვალის ვენახის ჭაპანზე, სიახლეებზე, სოფელზე,
გულგასახარად, ლამაზად, დღესაც იუბნოს მამულზე,
წუთისოფლის გზასავალზე და უკეთეს მომავალზე,
რომ ვიაროთ ყველამ ერთად ამ სანუკვარ მიწა-წყალზე.

– რუსთაველსა გულით სწადის, უჯილაგო მალე მიხვდეს,
მან სიახლე თუ იხილა, არ ეძგეროს, რომ არ წახდეს,
გაიაზროს, იმოქმედოს და მომავალს გონით დახვდეს,
თუ გვინდა, რომ სანატრელი საწადელი მართლაც ახდეს.

ოქროს ხანიდან მოვდივარ შოთა ბევრისა მნახველი,
და სურვილი მაქვს მოგითხროთ გმირების საქმე ძირძველი,
მწადის, რომ ლაღად გიამბოთ წინაპრებისა ყოველი,
და თამარისა ამბავი, საქმენი გასაკვირველი.

ჩემ დროს ასანთიც არ იყო, არათუ ავიაცია,
მაგრამ ქართველმა სამშობლო ისეთ ქვეყანად აქცია,
სულ გააოცა მსოფლიოს სხვადასხვა მძლავრი ნაცია,
იმგვარად, რომა ეპოქა უჭკნობად გადააქცია.

მთელმა სამყარომ იხილა მამაც ქართველთა ტომები,
მანდილოსანმა ვით სძლია გაუგონარი ომები,
ქვეყანას ჩამოაცილა ხარბი და ავის მდომები,
მეფის მიბაძვით მებრძოლნიც ომობდნენ როგორც ლომები.

ერთხელ, როცა ბასიანში მტრისა ჯარი შემოვარდა,
მოყვრის ცხენი წაბორძიკდა და მხედარი გადმოვარდა,
თამარმა რომ დაინახა, მის საშველად წამს მივარდა,
იმ მხედარსა ის ტკივილი იმწუთშივე ჩამოშორდა.

მეფის ამგვარმა ქმედებამ ლაშქარი აღაფრთოვანა,
ერი მუშტად დააკონა, ერთგულება შთააგონა,
ყველამ ერთად უფრო მეტი სასიკეთოდ მოიგონა,
და კიდევაც რისხვა მტერსა საარაკოდ გააგონა.

ძველი მიტომ გაგახსენეთ, ერთობა თუ დამკვიდრდება,
სიბოროტე და ღალატი სამუდამოდ მოგვშორდება,
ერი ბრძოლის ასპარეზზე მამაცურად აღიზრდება,
სამომავლოდ საამაყოდ გმირიც ბევრი გაიზრდება.

თამარი იყო დიადი, სპეტაკი მანდილოსანი,
ხელმწიფე გვირგვინ-უჭკნობი, ნამდვილი გვირგვინოსანი,
მის სიტურფეს მივუძღვენი ჩემი „ვეფხისტყაოსანი“,
რამაც უკვდავად აქცია სამეფო კარის მგოსანი.

გმირ წინაპართა ბილიკზე ერი რომ მეტად ნათობდეს,
და მომავალი სულ მუდამ მათ ნამოღვაწარს ამკობდეს,
ქმედება გვინდა ისეთი, მზისდაგვარადა დარობდეს,
და ქვეყანის მთავარსარდალი სამაგალითოდ მთავრობდეს.

გულდაწყვეტილმა ვიხილე შემცირებული თაობა,
განა ამისთვის იღვწოდა ქართველთა, ერისკაცობა?!
უფრორე მეტად დავღონდი, რომ ვერ ვიხილე ერთობა,
და სიყვარულის მაგიერ თვალს მოხვდა კაცთა მხეცობა.

დავფიქრდეთ კარგად, რას ნიშნავს გადახვეწილი ქართველი,
ან მილიონი ვაჟკაცი შთამომავლობის მომრთველი,
მიზეზი მხოლოდ ისაა, კაცმა ვერ ჰპოვა მფარველი,
საქართველომ კი მმართველი მარგალიტების მთესველი.

უცხო ტომთან სამუშაოდ წასვლის ფიქრი მოგვშორდება,
ერი ლაღად, საამაყოდ გაიზრდება, გამრავლდება,
ისე, რომ წინ ვერასოდეს ვერაფერი დაუდგება,
და სამშობლოს მიტოვებაც აღარავის მოუნდება.

კაცი ახალსა იძახდეს, დიდი პრობლემა წყდებოდეს,
ეს არ ესმოდეს რეგვენსა, პირიქით, აქეთ წყრებოდეს,
ვაზის სამშობლოს რა ვუთხარ, სიახლით არა ტკბებოდეს,
და ქვეყნისათვის საამო ვაზის ფესვებში ჭკნებოდეს.

ამ სიტყვებსა ბრძენი ამბობს, თანაც შოთა რუსთაველი,
არა ვიღაც მაჩანჩალა, ქართველ კაცის დამღუპველი,
ვარ ქართველი, რომ გაჰკივის მაცდური და არა ქველი,
სხვაგანაა, სხვაგან იღწვის საქართველოს დამქცეველი.

ვძებნე და ვპოვე საშველი მამულის გულისცემისა,
სიახლე არის მთავარი მომავლის გამოჩენისა,
უპირველესად ყოველი ამ წუთისოფლის ჩენისა,
გზებია გასაკაფავი სამშობლოს გადარჩენისა.

სადარდებელი ესაა, ვისწავლოთ კარგის გარჩევა,
ავაღორძინოთ ღირსება და შეისმინოთ თქვენ რჩევა,
მიმიხვდით ალბათ წადილსა, ყველაფერს უყვარს შერჩევა,
ვენახებს რთველი უხდება, რქაწითელს კიდე მორჩევა.

მომავალზე ცოტას ფიქრობთ, საქმე ვერა აგიწყიათ,
არ წუხდებით, ამიტომაც არაფერი მოგიგიათ,
მხოლოდ ერთო მომეწონა – სამება რომ აგიგიათ,
მაგრამ ჯამში ხალხისათვის მაინც ბევრი წაგიგიათ.

ნუ დაჩლუნგდებით, ნუ იზამთ, რაც სახვალიო მტვერია,
აამოქმედეთ ის სიბრძნე, რაც უკვე დამიწერია,
„მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია,
არ მიენდობის გულითა, თუ კაცი მეცნიერია“.

აი ეს არის პასუხი ძველ და ახალი მტრებისა,
მწადის გვარებიც გაცნობოთ სულიერ გარეწრებისა,
მაგრამ არ ვიზამ ამასა, ჟამია შერიგებისა,
სჯობს შეკავება თავისა, ზოგ რამის მოგვარებისა.

– შოთას ნათქვამი აზრები მთელ დედამიწას რომ სწვდება,
ცაში კი სვიან ვარსკვლავსაც დიდ სიამაყით ასწვდება,
ასეთი კაცის სიტყვები ქვეყანას მადლით მისწვდება,
მთლიანი ნამოქმედარი წინაპართ საფლავს ჩასწვდება.

კაცსა მარტო ის უხარის, რაცა გულსა იამება,
ამიტომაც მოვინდომე და ვიხილე მე სამება,
დავილოცე იმდაგვარად, მრევლი გამომყვა, ჩამება,
მათი მადლი და ხალისი, გულზე სიამით მომება.

მოწმე ვარ ჭირ-ვარამისა, მით უფრო რაინდობისა,
ფათერაკისა მნახველიც და საამაყო ძმობისა,
ავის და კარგის გარჩევის, ბევრი ჭირისა თმობისა,
საქართველოს შენების და ოქროს ხანისა წყობისა.

კაცის მომთხრელი სატანა მთელი ცხოვრება ჯიბრშია,
კარგ საქმეს მუდამ დასცინის, თითქოს ამ ქვეყნად ჭურშია,
ერისკაცობას იბრალებს, ჯოხს რომ დაიჭერს ხელშია,
სულ ფაციფუცობს და მაინც წუთისოფლისა ვალშია.

კაცსა შვენის მამაცური კარგი საქმის საუბარი,
ვით წინაპართა ნაღვაწი, რითაცაა საქებარი,
სჯობს დღეიდან დიდ-პატარა გახდეს ქველი, თანაბარი,
რომ არასდროს აღარ ვიყოთ სხვა ქვეყნისა ანაბარი.

გემუდარებით ერისთვის და არა ჩემი გულისთვის,
ეს ლექსი ყველგან მივიდეს სათაყვანებლად მოყვრისთვის,
ყველა ქართველმა იფიქროს ხვალის უკეთეს წყობისთვის,
რომ საქართველომ ილხინოს დედამიწაზე ყოველთვის.

გულს მიხალისებს ვენახი, ვაზი უფლისგან მორთული,
სტუმარი ყველა მოსული, ადათ-წესებით გართული,
სუფრა, ქეიფი, მარანი და სიმღერები ქართული,
ყველა წმინდა და საამო, „მრავალჟამიერ“ დართული.

დედაქალაქს შემოვედი, მუხლი უმალ მოვიყარე,
ვინახულე ყველა მოყმე, მეგობრობა გავამყარე,
მთავარ გამზირს რომ მივადექ, სიყვარული დავამყარე,
იქვე ძეგლი რომ ვიხილე, კვლავაც ფიქრებს შევეყარე.

დავით-გარეჯს დავილოცე, რომ მივედი საგარეჯოს,
სამი ნატვრა გულს დამესვა – კაცი ქველად გაისარჯოს,
არასოდეს არავისთან სიბოროტე არ დახარჯოს,
საქართველოს ყველა კუთხეს ზეცის ძალით გაუმარჯოს!

– ამ ლექსით გავთამამდები, და ყველას შევესიტყვები,
მეგზურობასაც გავუწევ, თითეულ ვაზთან მივყვები,
ხვალის ვენახის სიკეთეს დაგრეხილ ვაზთან მოვყვები,
სამშობლოს განდიდებისთვის ბევრი მაქვს კიდევ სიტყვები!

სიტყვები მოვაბადაგე, აზრად ვაფრქვიე რაც არი,
არ შემიფასოთ ეს ლექსი გულწრფელად დასაფიცარი,
რადგან ჯერ კიდევ ვაზროვნებ, ჭაბუკობს გულის ფიცარი,
ოთხასი სტროფი წინ არის პოემა გასაოცარი!

თამაზ ქვლივიძე
599 10 43 18

ოკუპირებული აფხაზეთიდან ანექსირებულ ყირიმში საზღვაო ტვირთების გატანა დაიწყო

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებული აფხაზეთიდან ანექსირებული ყირიმში სატვირთო გემით ინერტული მასალების გატანა დაიწყო. 3 ათასი ტონა ღორღი აფხაზეთიდან ყირიმის ნახევარკუნძულზე დიდი საავტომობილო გზის დაგებას მოხმარდება.

სოხუმის პორტიდან ინერტული მასალების ექსპორტის თვალსაზრისით კონფლიქტურ რეგიონს დიდი გეგმები აქვს – 2019 წელს 200 ათასი ტონის ტრანზიტი იგეგმება. სოხუმის ნავსადგურის ინფრასტრუქტურა საამისოდ მომზადებულია.

აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმი ყირიმთან ურთიერთობას 4 წლის წინ, რუსეთის მიერ ყირიმის „აღიარებიდან“ შეუდგა.

მაშინ აფხაზები ყირიმის თვითგამოცხადებულ ხელისუფლებას სთავაზობდნენ ღორღს ხიდის მშენებლობისათვის და, რაც უფრო მძაფრად აღიქმება, ისეთ ბუნებრივ სიმდიდრეს, როგორიც წყალია. აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის შეთავაზებით, ყირიმში უნდა აშენდეს ქარხანა, რომელიც აფხაზეთიდან ტანკერებით შეზიდულ მტკნარ წყალს ჩამოასხამს.

– აფხაზეთში უნიკალური მტკნარი წყალია, რომელიც გაწმენდას არ საჭიროებს. ტანკერებით შემოვიტანთ წყალს, თქვენ მის ბუტილირებას მოახდენთ და მთელ მსოფლიოში გაყიდით, – აცხადებდა ყირიმში ჩასული აფხაზეთის მაშინდელი დეფაქტო პრემიერი ბესლან ბუტბა.

ქარხნის მშენებლობისათვის 10-მილიარდდოლარიანი ინვესტიციაა საჭირო. დიდი ალბათობით, ეს იდეა ისევ არსებობს. ამ ოთხ წელიწადში გაუარესდა როგორც აფხაზეთის, ისე ყირიმის მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა. მთლიანად რუსეთის კმაყოფაზე მყოფი ყირიმი და ნაწილობრივ რუსეთის დოტაციაზე მცხოვრები აფხაზეთი სიძნელეებს განიცდიან. საქართველოს მტკნარი წყლით შემოსავლების მიღებაზე არც ერთი უარს არ იტყოდა.

ეკონომიკური და ფინანსური სიძნელეების კომპენსირებას საქართველოს სეპარატისტული რეგიონი „საგარეო“ წარმატებებით ცდილობს.

ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. საგარეო საქმეთა სამინისტრო ამზადებს დეფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბასა და აფხაზეთის მაღიარებელი სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის შეხვედრას. ხაჯიმბამ ასადი აფხაზეთში მიიწვია.

– მიუხედავად იმისა, რომ სირია ომის მდგომარეობაში იმყოფება, ეს ძლიერი სახელმწიფოა. სირია ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი საკვანძო მოთამაშეა. აუცილებელია მუშაობის გაგრძელება აღიარების მიმართულებით. ეს მარტო საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმე არ არის. ეს ყველას ვალია, – აცხადებს ე. წ. საგარეო საქმეთა მინისტრი დაურ კოვე.

დაურ კოვეს თქმით, აფხაზური მხარე თავის პოზიციებს ჟენევაშიც დაიცავს.

მარტში ჟენევის მოლაპარაკებებზე საქართველოს დელეგაცია არ დაეთანხმა რუსეთის მხარის წინადადებას ძალის გამოუყენებლობაზე პირობის დადების შესახებ. თბილისი არ თანხმდება სოხუმისა და ცხინვალის კონფლიქტის მხარეებად წარმოჩენას. ამან აფხაზეთის საზოგადოებაში გააჩინა განცდა, რომ ჟენევის დისკუსიებში მონაწილეობას აზრი არა აქვს.

საოკუპაციო რეჟიმის საგარეო უწყება იმედს ჟენევის მოლაპარაკებებზეც ამყარებს:

– ჩვენთვის მნიშვნელოვანია მონაწილეობა ჟენევის ფორმატის დისკუსიებში. ესაა ერთადერთი საერთაშორისო არენა, სადაც აფხაზეთს საკუთარი პოზიციების გახმოვანების საშუალება აქვს, – აცხადებს კოვე.

რუსეთში ითვლება, რომ აფხაზეთის რეგიონი რუსეთისთვის მნიშვნელოვანია იმ გეოპოლიტიკურ ფონზე, როცა შავი ზღვის აუზში უკიდურესად დაძაბულია სიტუაცია, საქართველო კი ნატოს უფრო უახლოვდება. ამასთან, ექსპერტები აღიარებენ აფხაზეთის ეკონომიკურ პრობლემებს. მათი თქმით, რუსეთ-აფხაზეთის სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა ეკონომიკით მოწმდება.

დაცულ ტერიტორიებზე უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა 38%-ით გაიზარდა

2018 წლის 5 თვის მონაცემებით, საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 24%-ით გაიზარდა და 195.617 შეადგინა. მათ შორის 55% ქართველია, ხოლო 45% – უცხოელი.

ქართველი ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია 14%-ით, ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 38%-ით. საერთაშორისო ვიზიტორებიდან დაცულ ტერიტორიებს ყველაზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა გერმანიიდან, პოლონეთიდან, ემირატებიდან, ისრაელიდან და რუსეთიდან.

ტოპ 5 ყველაზე მონახულებადი დაცული ტერიტორიაა: პრომეთეს მღვიმე, თბილისის ეროვნული პარკი, ყაზბეგის ეროვნული პარკი, მარტვილის კანიონი, სათაფლია.

5 თვის განმავლობაში ყველაზე მეტად გაიზარდა ვიზიტორების რაოდენობა შემდეგ დაცულ ტერიტორიებზე: მაჭახელას ეროვნული პარკი, თბილისის ეროვნული პარკი, მტირალას ეროვნული პარკი, ჯავახეთის დაცული ტერიტორიები, მარტვილის კანიონი.

დაცული ტერიტორიების სააგენტო, დაცული ტერიტორიების უნიკალური ბიომრავალფეროვნების და ეკოსისტემების დაცვასა და განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას. ეკოტურისტული საქმიანობის ფარგლებში, მაისის თვეში ყაზბეგის ეროვნულ პარკში ვიზიტორთა ცენტრი გაიხსნა, სადაც ტურისტები ამომწურავი ინფორმაციის მიღებას შეძლებენ.

კომერსანტი

„მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანისთვის ქვეყანაში არაფერი კეთდება“

– მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანისთვის ქვეყანაში არაფერი კეთდება არც კანონმდებლობისა და არც აღსრულების თვალსაზრისით.

ამის შესახებ „კომერსანტს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ გამგეობის თავმჯდომარე ეკა ლალიაშვილმა განუცხადა.

მისი ინფორმაციით, დღეს ქვეყანაში ამ მიმართულებით რამდენიმე პრობლემაა. მათ შორის, მძღოლის კომპეტენცია და ტრანსპორტის გამართულობა. ლალიაშვილის განცხადებით, დღეს გვაქვს სურათი, რომელიც აბსოლუტურად დარეგულირებულია.

როგორც ლალიაშვილი აცხადებს, დღეს ქვეყანაში საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივ გზებზე გადაადგილების უსაფრთხოება ეკონომიკის სამინისტროს ევალება, რომელიც 2018 წლის სამოქმედო გეგმაშიც აქვს გაწერილი. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანისთვის არაფერი არ კეთდება.

ლალიაშვილის ინფორმაციით, სკოლებში ექსკურსიებზე ბავშვების გადაადგილება სხვა კატეგორიის ტრანსპორტით უნდა ხდებოდეს. ამ შემთხვევაში აქცენტი არა ფინანსურ შეღავათზე, არამედ, რამდენად აკმაყოფილებს კონკრეტული ტრანსპორტი მინიმალურ მოთხოვნებს, ამაზე უნდა კეთდებოდეს.

როგორც ლალიაშვილი განმარტავს, ეროვნულ დონეზე არსებობს ტექნიკური ინსპექტირება, რომელიც გავლილი უნდა ჰქონდეს ამ კატეგორიის ყველა ტრანსპორტს.

– სკოლა, როდესაც ტრანსპორტს ქირაობს, მინიმუმ ეს დოკუმენტი უნდა მოითხოვოს. რაც შეეხება მძღოლს, დღეს მძღოლის კვალიფიკაცია არ არის დადგენილი, არ ხდება გადამზადება. პასუხისმგებლიანმა სკოლამ, შეიძლება თვითონ გადაამზადოს. არსებობენ ბაზარზე ასეთი კომპანიები, რომლებიც მძღოლების გადამზადებას ახდენენ. ეს არის ჩვეულებრივი ტრენინგი, რომელიც ძალიან ფართოდაა გავრცელებული საერთაშორისო სივრცეში. ეს ჩვენთან კანონით არ რეგულირდება. თუმცა, თუ სკოლა უსაფრთხოებაზეა ორიენტირებული, ტრანსპორტისა და მძღოლის გადამოწმება მისი კეთილი უნდა იყოს, – აცხადებს ლალიაშვილი.

მისი განცხადებით, შიდა გადაყვანებსა და გადაზიდვებზე რეგულაცია არ არსებობს.

კითხვაზე, ვინ არის იმაზე პასუხისმგებელი, რომ ქვეყანაში ეს მიმართულება დარეგულირებული იყოს, ლალიაშვილი აცხადებს, რომ პარლამენტი არის კანონის მიმღები, თუმცა, ინიცირება ეკონომიკის სამინისტრომ უნდა გააკეთოს.

– საქართველოს საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის 2018 წლის სამოქმედო გეგმაში ვკითხულობთ, რომ საავტომობილო-სამგზავრო გადაყვანების უსაფრთხოების ამაღლება ეკონომიკის სამინისტროს სახმელეთო ტრანსპორტის საგენტოს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ევალება. საუბარია, ქვეყნის შიდა საავტომობილო გადაყვანების მოწესრიგების მიზნით, საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებას და მათ აღსრულებას. ეს სრულად ეხება ეკონომიკის სამინისტროს, მხოლოდ აღსრულების ნაწილი ევალება შსს-ს, – აცხადებს ბექა ლალიაშვილი.

მუშაობს თუ არა ამ მიმართულებით სახმელეთო ტრანსპორტის საგენტო, მზადაა თუ არა საკანონმდებლო ცვლილებები, როდის იგეგმება მისი საკანონმდებლო ორგანოში შეტანა და რა ნორმებს ითვალისწინებს, ამის გარკვევა „კომერსანტმა“ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში ცადა. უწყებაში აცხადებენ, რომ აღნიშნულ კითხვებზე „კომერსანტმა“ ეკონომიკის სამინისტროს უნდა მიმართოს.

ეკონომიკის სამინისტროდან პასუხს „კომერსანტი“ მკითხველს მიღებისთანავე შესთავაზებს.

შეგახსენებთ, 9 ივნისს გომბორზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 4 ადამიანი დაიღუპა. მიკროავტობუსი, რომლითაც ბავშვები ექსკურსიაზე მიჰყავდათ, ხევში გადავარდა.

რაც შეეხება სტატისტიკას, შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიზისა და რეფორმების სამმართველოს უფროსის, ბექა ლილუაშვილის, განცხადებით, გასულ წელს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების რეფორმის ფარგლებში ამოქმედებული უკონტაქტო პატრულირებისა და მართვის მოწმობებზე დარიცხული ქულათა სისტემის შემოღების შემდეგ გაზრდილია ავტოსაგზაო უსაფრთხოების მაჩვენებლები და შემცირებულია უბედური შემთხვევების სტატისტიკა:

– 2017 წლის წლიური მაჩვენებლით, 11%-ით არის შემცირებული დაღუპულთა რაოდენობა, 15 %-ით არის შემცირებული ავტოსაგზაო, სატრანსპორტო შემთხვევათა რაოდენობა და 12,5 %-ით არის შემცირებული დაშავებულთა რაოდენობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ქულათა სისტემის რეფორმა, რაც გასულ წელს განხორციელდა, მიუთითებს, რომ შეიცვალა მძღოლების ქცევა, რამაც შედეგად მდგომარეობის გაუმჯობესება გამოიწვია. რაც შეეხება 2018 წლის მაჩვენებლებს, მიმდინარე წლის 4 თვეში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, რეალურად 6,5%-იანი შემცირება გვაქვს სიკვდილიანობის მაჩვენებლის, – აღნიშნავს ბექა ლილუაშვილი.

ბოლო წლებში საქართველოს გზებზე ავტოავარიების შედეგად წელიწადში 500-ზე მეტი ადამიანი იღუპება, დაშავებულთა რაოდენობა კი 8000-ს აღემატება. 2011 წლიდან 2016 წლამდე ავტომობილების რაოდენობა 33%-ით გაიზარდა. ასეთივე პროპორციით, 35%-ით გაიზარდა ავტოავარიების რაოდენობაც, – ამის შესახებ ინფორმაციას კი სახელმწიფო აუდიტის სამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობა 1 მილიონ მოსახლეზე გაანგარიშებით, მნიშვნელოვნად აღემატება ევროპული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს. სტატისტიკური ინფორმაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოაქვეყნა. კერძოდ, 2011-2017 წლებში ავტოსაგზაო შემთხვევების დინამიკა მზარდია.

კომერსანტი

თბილისის ხაზებს თვის ბოლომდე 25 ავტობუსი დაემატება

თბილისის ხაზებს თვის ბოლომდე 25 ავტობუსი დაემატება, რომლებიც არსებული რესურსიდან გამოიძებნა.

ამის შესახებ გადაწყვეტილება გუშინ საკრებულოს სხდომაზე მიიღეს. საკითხი სხდომაზე განსახილველად თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ მერაბ მამულაშვილმა წარმოადგინა.

როგორც სხდომაზე ითქვა, 25 ავტობუსი ხაზებს მგზავრთა რაოდენობის განტვირთვის მიზნით დაემატა.

მისივე თქმით, თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ 25 ავტობუსი არსებული რესურსიდან გამოიძებნა. ამასთან, ავტობუსების ნაწილი 7 ახალ მარშრუტზეც გადანაწილდება.

25 ერთეული შეკეთდა და გამოვყავით დამატებით მომსახურებისთვის, რადგან ზღვა მოთხოვნაა და გულხელდაკრეფილი ვერ ვიქნებოდით. შესაბამისად,

ამ რესურსის საფუძველზე 7 ახალი მარშრუტი გაიხსნა, მათგან ორ მარშრუტზე 4-5 ავტობუსი ივლის, დანარჩენზე – თითო ერთეული. ამასთან, იყო მარშრუტები, რომლებიც გარკვეულ კორექტირებას მოითხოვდა. ასეთი ოთხი ცვლილება განხორციელდა. თბილისის ზღვაზე ორი მარშრუტი თითქმის ერთმანეთს ფარავდა და გავაერთიანეთ. ასევე, 6 მარშრუტზე სამუშაო დღეებში ავტობუსების რაოდენობას თითო-თითო ერთეული დაემატა და სხვა, – განაცხადა მამულაშვილმა.

თბილისის მერიის ინფორმაციით, 7 ახალ მარშრუტზე შემდეგი ნომერი ავტობუსები იმოძრავებენ: №57 ნომერი კრწანისისა და ორთაჭალის ქუჩებიდან მეტრო ისნის გავლით მეტრო სამგორამდე (1 ავტობუსი) იმოძრავებს.

№58 – ცინცაძის (ყოფილი საბურთალო) ქუჩიდან რუსთაველის გამზირისა და ბარათაშვილის ქუჩის მიმართულებით (4 ავტობუსი);

№63 – მეტრო დელისიდან სოფ. თხინვალამდე და მოემსახურება ნუცუბიძის მე-4 მ/რაიონში სტუდენტთა საცხოვრებელსა და ფერმწერთა ქუჩას (4 ავტობუსი).

№64 – ცაცა ამირეჯიბის მეორე და მესამე შესახვევებიდან ჯამბულ წურწუმიას, ბესარიონ ჭიჭინაძის, გუმათჰესის, ბესარიონ ჭიჭინაძისა და ქინძმარაულის ქუჩების გავლით სადგური ველამდე (1 ავტობუსი).

№67 – მეტრომშენის დასახლებიდან ნავთლუღის ბაზრის მიმართულებით (1 ავტობუსი).

№74 – წყალსადენისა და ფეიქართა ქუჩებიდან მ. ღრმაღელის გავლით და მ. სარაჯიშვილამდე (1 ავტობუსი).

№76 – მუხიანის დასახლების მე-4 „ბ მ/რაიონიდან მ. ახმეტელის თეატრამდე (1 ავტობუსი).

კომერსანტი

საიდან შემოდის და როგორ რეგულირდება საწვავის ხარისხი საქართველოში

მიმდინარე წელს საქართველოში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტის ყველაზე დიდი მომწოდებლები არიან: რუსეთი – 127 ათასი ტონა (მთელი იმპორტის 29,5%), რუმინეთი -109 ათასი ტონა (25,4%), თურქმენეთი – 70,7 ათასი ტონა (16,4%), აზერბაიჯანი – 67,4 ათასი ტონა (15,7%), ბულგარეთი – 33,2 ათასი ტონა (7,7%) და საბერძნეთი – 22,3 ათასი ტონა (5,2%).

ნავთობიმპორტიორთა კავშირის განცხადებით, საქართველოში დღეს რეალიზაციაში არის მხოლოდ ევრო 5-ის შესაბამისი სტანდარტის ბენზინი. რაც შეეხება დიზელის საწვავს, ის არის ევროპიდან იმპორტირებული – ევრო 5-ის შესაბამისი სტანდარტის და აზერბაიჯანიდან და თურქმენეთიდან

იმპორტირებული ევრო 4-ის შესაბამისი სტანდარტის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აზერბაიჯანიდან და თურქმენეთიდან მხოლოდ დიზელის საწვავის იმპორტი ხორციელდება.

– საქართველოში დღეს ბენზინთან დაკავშირებით, საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების შესახებ მთავრობის დადგენილება მოქმედებს, რომლის მიხედვითაც ბენზინის შემადგენლობა შემდეგ მაჩვენებლებს უნდა აკმაყოფილებდეს: ტყვიის შემცველობა – არაუმეტეს 0,005 გ/ლ; ბენზოლის მოცულობითი წილი – არაუმეტეს 1%, არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი – არაუმეტეს 35%, გოგირდის შემცველობა – არაუმეტეს 10 მგ/კგ; ეს არის ევრო 5-ის შესაბამისი სტანდარტი.

რაც შეეხება დიზელის საწვავს, მასთან მიმართებაში მოქმედი დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა

შესახებ მთავრობის დადგენილების მიხედვით დიზელის საწვავის შემადგენლობა შემდეგ მაჩვენებლებს უნდა აკმაყოფილებდეს: ცეტანის რიცხვი – არანაკლებ 48; გოგირდის შემცველობა – არაუმეტეს 100 მგ/კგ; სიმკვრივე 150ჩ – არაუმეტეს 845 კგ/მ3; პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების მასური წილი – არაუმეტეს 11%.

მთავრობის დადგენილებაში აღწერილია, რომ 2019 წლის 1 იანვრიდან დიზელის საწვავის ხარისხობრივი მოთხოვნები მკაცრდება. კერძოდ, მცირდება გოგირდის დასაშვები ოდენობა დიზელის საწვავის შემადგენლობაში 50 მგ/კგ-მდე; ეს არის ევრო 4-ის სტანდარტის შესაბამისი.

აქვე უნდა ითქვას, რომ ბოლო წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში საწვავთან დაკავშირებით ხარისხობრივი მოთხოვნები მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული. მაგალითად, 2010 წელს მოქმედებდა შემდეგი ხარისხობრივი მოთხოვნები: ბენზინზე: ტყვიის შემცველობა – არაუმეტეს 0,013გ/ლ, ბენზოლის მოცულობითი წილი – არაუმეტეს 5%, არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი – არაუმეტეს 45%, გოგირდის შემცველობა – არაუმეტეს 200 მგ/კგ; (მხოლოდ გოგირდის მაჩვენებელი შემცირდა 20-ჯერ).

დიზელის საწვავზე: ცეტანის რიცხვი – არანაკლებ 45; გოგირდის შემცველობა – არაუმეტეს 350 მგ/კგ; სიმკვრივე 150ჩ – არაუმეტეს 845 კგ/მ3; პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების მასური წილი – არაუმეტეს 11% (გოგირდის შემცველობა შემცირდა 3,5-ჯერ).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბენზინის ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესება მთავრობის დადგენილების მიხედვით დიზელის საწვავთან შედარებით სხვა ფაქტორებთან ერთად დაკავშირებულია იმასთან, რომ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად ხდება ბენზინზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების (ესენი არიან ძირითადად მსუბუქი ავტომობილები) ავტოპარკის განახლება, მათ შორის სახელმწიფო უწყებების კუთვნილი ავტოპარკის განახლების ხარჯზე. განახლების პროცესი მიმდინარე ეტაპზეც აქტიურად ხორციელდება. მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ასევე ჰიბრიდული და დაბალმოცულობიანი ტიპის ავტომობილების იმპორტი, რომელთა „ტაქსებად“ გამოყენება ხშირია.

ამასთან, ბოლო წლების განმავლობაში ბენზინზე მოძრავი ავტომობილების საკმაო ნაწილი გადავიდა ბუნებრივი აირისა და თხევადი აირის მოხმარებაზე, რომლებიც საწვავთან შედარებით ატმოსფერულ გარემოს შედარებით ნაკლებად ვნებს.

რაც შეეხება დიზელის საწვავზე მოძრავ სატრანსპორტო საშუალებების ავტოპარკს, ის შედარებით ნაკლებად არის განახლებული, ვინაიდან მათი აბსოლუტური უმრავლესობა არის სატვირთო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, სპეც. ტექნიკა. ეს სატრანსპორტო საშუალებები უმეტესად საკმაოდ დიდი წლოვანებისაა, რომელთაც მწარმოებლის მიერ ევრო 4-ზე დაბალი სტანდარტის დიზელის საწვავის გამოყენება აქვთ რეკომენდებული. გარდა ამისა, ისინი ჩაბმულნი არიან ეკონომიკურ საქმიანობაში (კერძოდ, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა) და ამიტომ მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს შედარებით დაბალი ფასის დიზელის საწვავის არსებობას, რისგან გამომდინარეც დიზელის საწვავის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება ბენზინის საწვავის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების პარალელურად არ მოხდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში დიზელის საწვავის ერთ-ერთი ძირითადი მომწოდებელი გახლავთ აზერბაიჯანის რესპუბლიკა, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის სტრატეგიულ პოლიტიკურ სავაჭრო-ეკონომიკურ პარტნიორად ითვლება, რომელიც ამავე დროს არის ენერგორესურსების და მათ შორის ნავთობპროდუქტების ტრადიციული სტაბილური მომწოდებელი. სწორედ ამ პარტნიორობის შედეგია ის, რომ საქართველოში 90-იანი წლებიდან მოყოლებული, მათ შორის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროსაც, არ ყოფილა საწვავის დეფიციტი. აზერბაიჯანი ევრო 4-ის შესაბამისი სტანდარტის დიზელის საწვავს აწარმოებს და მზადაა მომავალში ევრო 5-ის სტანდარტზე გადავიდეს, – ნათქვამია კავშირის განცხადებაში.

მათივე ცნობით, ეკოლოგიური ეფექტის გაუმჯობესებისთვის საჭიროა, რომ საწვავის ხარისხის გაუმჯობესების პარალელურად საავტომობილო პარკის განახლებაც ხდებოდეს, რაც სამწუხაროდ სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო ჯერჯერობით ვერ ხორციელდება.

– თუმცა სასურველია, რომ მომავალში შემუშავდეს გარკვეული რეგულაციები სატრანსპორტო საშუალებების იმპორტზე, ვინაიდან სხვა შემთხვევაში გარემოს გაუმჯობესების კუთხით ვითარება არ შეიცვლება. შემოღებულ უნდა იქნეს ავტომობილებზე ეკოლოგიური სტანდარტი, რომელიც დაარეგულირებს გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებების შემცველობას. ასევე მიგვაჩნია, რომ უნდა შეიცვალოს განბაჟების სისტემა და წახალისდეს ახალი ავტომობილების იმპორტი.

იმისათვის, რომ გაირკვეს, რეალურად რა ხარისხის საწვავი იყიდება ქვეყანაში და როგორ სრულდება მთავრობის დადგენილება, სასურველია, რომ უშუალოდ საწვავის ხარისხის კონტროლი ავტოგასამართ სადგურებზე, ბაზებში, ნავთობგადამამუშავებელ საწარმოში სახელმწიფოს მხრიდან უფრო ხშირი ინტენსივობით ხდებოდეს და მოხდეს ამასთან დაკავშირებით საზოგადოების მეტად ინფორმირება, – აღნიშნავენ ნავთობიმპორტიორთა კავშირში.

ბპნ

სამართალდამცავებმა ნაციონალური მოძრაობის წევრი დააკავეს

გუშინ სამართალდამცავებმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი მირიან დეისაძე დააკავეს.

როგორც „ნიუპოსტს“ განუცხადეს, დეისაძე აქტიურად იყო ჩართული ზაზა სარალიძის მხარდამჭერ აქციებში. მისი დაკავების მიზეზი უცნობია. ასევე არ არის ცნობილი ჯერჯერობით, თუ სად არის დეისაძე გადაყვანილი.

როგორც თვითმხილველი „ნიუპოსტს“ უყვება, დეისაძე დაკავების მომენტში ბავშვთან ერთად იყო. იგი მეგობრის სახლიდან გამოდიოდა, რა დროსაც სამართალდამცავებმა დააკავეს და ავტომობილში ჩასვეს.

შემთხვევა თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მოხდა.

მირიან დეისაძე დეპუტატ დავით ლორთქიფანიძის პიჯაკის დაზიანების საქმეზე იყო დაკავებული.

წყნეთი-ახალდაბის გზაზე მეწყერი ჩამოწვა

ძლიერი წვიმის შედეგად წყნეთი-ახალდაბის გზაზე მიწის მასა ჩამოწვა. ამის გამო სოფელ ახალდაბას წყალმომარაგება შეეზღუდა. მიწის ჩამოტანის შედეგად „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მილი დაზიანდა. ამ დროისთვის ადგილზე წყალმომარაგების აღდგენის სამუშაოები მიმდინარეობს. ინფორმაციას ამის შესახებ „პირველი არხი“ ავრცელებს.

GWP-ის კომპანიის ოპერაციების მართვის დირექტორის პირველი მოადგილის ზურაბ ალფაიძის განცხადებით, სამუშაოები მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდება და ეს მონაკვეთი სრულად შეიცვლება.

– მეწყერმა ახალდაბის მაგისტრალური წყალმომარაგების ქსელი დააზიანა, რის გამოც წყალმომარაგება დროებით შეეზღუდა ახალდაბის მოსახლეობას. სამუშაოები მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდება და აღნიშნული მონაკვეთი სრულად შეიცვლება ახლით. როგორც კი დასრულდება სამუშაოები მაშინვე აღუდგება წყალმომარაგება მოსახლეობას. წყალმომარაგება აქვს შეზღუდული მხოლოდ ახალდაბას, სხვას ყველას მიეწოდება წყალი, – განაცხადა ზურაბ ალფაიძემ და აღნიშნა, რომ წყალმომარაგება ღამით, მაქსიმუმ ხვალ დილით აღდგება.

მალხაზ მაჩალიკაშვილის განცხადების საფუძველზე სუსმა გამოძიება დაიწყო

პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად სასიკვდილოდ დაჭრილი 19 წლის თემირლან მაჩალიკაშვილის მამის, მალხაზ მაჩალიკაშვილის განცხადების საფუძველზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოძიება დაიწყო.

საქმე ეხება 31 მაისს პარლამენტთან გამართული აქციისას მაჩალიკაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომლის მიხედვითაც „მას სუს-ში თავის აფეთქება ჰქონდა გადაწყვეტილი“.

– ნებისმიერი პირის მიერ მსგავსი შინაარსის საჯარო განცხადების შემთხვევაში, ტერორისტული აქტის ჩადენაზე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია, სამართლებრივი რეაგირება მოახდინოს, – უთხრეს „ნიუპოსტს“ სუს-ში.

უცნობია, რა მუხლით ან როდის დაიწყო გამოძიება.

ცნობისთვის, მალხაზ მაჩალიკაშვილმა მისი ნათქვამი ფრაზა მალევე განმარტა და აღნიშნა, რომ ეს ემოციების გამო თქვა.

– მე ჩეჩენი კაცი ვარ, ქართული კულტურით გაზრდილი. მე სხვა ადამიანებისგან განსხვავებით მიყვარს ეს საქართველო. ორჯერ მომიკლეს შვილი, ჩემთვის მოკვლაზე უფრო მძიმე მისი ტერორიზმში დადანაშაულებაა. ერთი წელი გარეთ არ გამოსულა. ფული შევაგროვე, რომ ოპერაცია გაეკეთებინა და გარეთ გამოსულიყო. ამათ კიდევ საწოლში ჩამიცხრილეს და ტერორიზმში დაადანაშაულეს. ამის მერე კიდევ მეუბნებიან, ეს რატომ თქვიო, ეს განცხადება რატომ გააკეთეო. ამ მუსლიმ კაცს თუ რაღაც წამომცდა, ამაზე კუდი მოაბეს. ეს არ არის კარგი საქციელი. შესაძლოა, ემოციურად გამომივიდა. შესაძლოა, ნებისმიერი ჩემს ადგილას ასე მოქცეულიყო, მაგრამ ეს რომ ჩემს ჩეჩენ ხალხს გაეკეთებინათ ჩემთვის, მე მართლა ავიფეთქებდი თავს და თემირლანს გავაყოლებდი ერთ ათას ადამიანს, მაგრამ მე ქართველ ხალხს არ გავუკეთებ და არც გავუკეთებდი, – აღნიშნა მალხაზ მაჩალიკაშვილმა.



ზაზა სარალიძის ადვოკატი: „ვიმედოვნებთ, რომ სასადილოში მომხდარზე მყისიერი რეაქცია იქნება“

ხორავას ქუჩაზე მოკლული დავით სარალიძის მამის ზაზა სარალიძის ადვოკატ ნესტან ლონდარიძის განმარტებით, ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირს პოლიციელი თავად უნდა უზღუდავდეს გადაადგილებას, რაც 11 ივნისს სასამართლოში არ მომხდარა და ამის გამო პოლიციის მხრიდან სასამართლოს სასადილოში გადაცდომას ჰქონდა ადგილი.

როგორც ლონდარიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, როდესაც ზვიად კუპრავას უმეთვალყურეოდ მიეცა გადაადგილების საშუალება, ეს არა კუპრავას, არამედ იმ პოლიციელის მხრიდანაა დარღვევა, რომელსაც ადმინისტრაციულად დაკავებული ჩაბარებული ჰყავდა.

ადვოკატი იმედოვნებს, რომ შსს-ს გენერალური ინსპექციის მხრიდან სასამართლოში მომხდარ ინციდენტს სწრაფი რეაგირება მოჰყვება.

– დარღვევას და პოლიციის მხრიდან გადაცდომას ჰქონდა ადგილი, რაც დაუყოვნებლივ შესწავლას საჭიროებს. თუნდაც ის ფაქტი, რომ ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირი არის უყურადღებოდ სასამართლო დარბაზში, მას აქვს საშუალება გამოვიდეს და პრესას მისცეს კომენტარი. მას არავინ აკავებს ამ დროს და არ უშლის თავისუფალ გადაადგილებას და სრულიად შემთხვევით, როდესაც იგი უკვე სასადილოშია ჩასული, მას თავს ესხმიან და იძულების წესით ამოჰყავთ, ეს არის მნიშვნელოვანი დარღვევა და ამაზე უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ რეაგირება. კანონით რა თქმა უნდა, აკრძალული არ იყო არც კომენტარების მიცემა და არც სასადილოში ჩასვლა, მხოლოდ მასთან ერთად უნდა ყოფილიყო პოლიცია და მისთვის არ უნდა მიეცა თავისუფალი გადაადგილების უფლება. ეს არის დარღვევა არა თავად ზვიად კუპრავასი, არამედ რა თქმა უნდა, იმ პოლიციის, ვისაც ის ჰყავდა ჩაბარებული, – განაცხადა ნესტან ლონდარიძემ.

შეგახსენებთ, რომ 11 ივნისს ადმინისტრაციული წესით დაკავებული ზვიად კუპრავა პოლიციამ სასადილოდან სასამართლოს დარბაზში ძალის გამოყენებით აიყვანა. ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც ზვიად კუპრავა ზაზა სარალიძესთან და სხვა თანამოაზრეებთან ერთად სასადილოში იყო ჩასული, მასთან საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მივიდნენ და დარბაზში ასვლა მოსთხოვეს. კუპრავამ პოლიციელებს უთხრა, რომ ის დაასრულებდა სადილობას და მალე ავიდოდა, თუმცა ამის საშუალება არ მისცეს და სასამართლო დარბაზში აიყვანეს. მცირე შეხლა-შემოხლის გამო, სასამართლოს სასადილოს ინვენტარი დაიმტვრა.

როლანდ ბლადაძე და გიორგი პაპუაშვილი მორიგდნენ

საქართველოს უზენაესი სასამართლო როლანდ ბლადაძის საქმესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

როგორც უზენაესი სასამართლოს პრესრელიზში არის ნათქვამი, 2017 წლის 23 მაისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში შემოვიდა როლანდ ბლადაძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 მარტის განჩინებაზე, სადაც მოწინააღმდეგე მხარეები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და გიორგი პაპუაშვილი იყვნენ.

„კასატორი როლანდ ბლადაძე წარმოადგენს მოსარჩელეს, რომელმაც სარჩელი აღძრა სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარეების მიმართ და მოითხოვა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გიორგი პაპუაშვილს შორის 2007 წლის 21 ივნისს, ბათუმში, ერას ქ. №37-ში მდებარე №8 ბინაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების, როგორც კანონსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგების ბათილად ცნობა, გიორგი პაპუაშვილის არაკეთილსინდისიერ შემძენად და მფლობელად ცნობა.

მოსარჩელის მითითებით, სახელმწიფოს მიერ გიორგი პაპუაშვილისთვის პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზების ფორმით სიმბოლურ ფასად (1000 ლარად) გადაცემული ქონება წარმოადგენს მისთვის აჭარის ა/რ

უმაღლესი სასამართლოს 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით ჩამორთმეულ ქონებას, რომლის ჩამორთმევა და შემდეგ გიორგი პაპუაშვილისთვის გადაცემა სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდა უკანონოდ.

მოსარჩელის მითითებით, აღნიშნულს ადასტურებს აჭარის ა/რ პროკურატურის 2013 წლის 12 აპრილის დადგენილება დანაშაულებრივი ქმედების არარსებობის გამო მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

აღნიშნული დადგენილება ნათელს ხდის, რომ 2004 წელს მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, რომელიც საფუძვლად დაედო აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებას, განხორციელდა უკანონოდ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 15 მარტის განჩინებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ რ. ბლადაძის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და ცნობილ იქნა დასაშვებად. საკასაციო სასამართლომ 2017 წლის 19 დეკემბრის განჩინებით დაადგინა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა, რომლის უპირველესი მიზანი იყო მხარეთა შორის მორიგების მიღწევა.

მხარეთა მორიგების მიზნით საკასაციო სასამართლომ სხდომები გამართა 2018 წლის 24 იანვარს, 9 მარტს, 3 აპრილს, 12 აპრილს, 26 აპრილს, ხოლო 2018 წლის 4 და 11 მაისის სხდომები მიეძღვნა საქმის არსებით განხილვას. ამავე სხდომებზე ასევე განიხილებოდა საქმის მორიგებით დასრულების შესაძლებლობა“, – ნათქვამია განცხადებაში.

2018 წლის 11 ივნისს როლანდ ბლადაძის საკასაციო საჩივარზე საქმის განხილვა მხარეთა მორიგებით დასრულდა.

ქუთაისში ნარკორეალიზატორი დააკავეს

შსს-ს ინფორმაციით, ქუთაისში ნარკორეალიზატორი დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით, 1973 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ჯ.ლ. ქუთაისში დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 6-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ს პრესსამსახურიდან აცნობეს, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული ნარკოტიკულ საშუალებას სისტემატურად ყიდდა.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, სარეალიზაციოდ გამზადებული, 10 შეკვრად დაფასოებული, „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის“ ფხვნილი, ერთჯერად საინექციო შპრიცში მოთავსებული „ბუპრენორფინის“ შემცველი სითხე და ნარკოტიკების უკანონო რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული – 2.720 ლარი ამოიღეს.

ჯ.ლ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას კი ამოღებულია ასევე ნარკოტიკული საშუალებების უკანონო რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა – 250 ევრო და 100 ლარი.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით.

დონალდ ტრამპი კიმ ჩენ ინს შეხვდა

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი სინგაპურში ჩავიდა. აქ შედგა მისი შეხვედრა ჩრდილოეთ კორეის დიქტატორ კიმ ჩენ ინთან.

აშშ-ის დელეგაციაში იყვნენ სახელმწიფო მდივანი პომპეო და ტრამპის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების დარგში ბოლტონი.

თავად ტრამპმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა:

– კიმ ჩენ ინთან ძალიან კარგი ურთიერთობები დავამყარე!

ჩრდილოეთ კორის დიქტატორი უფრო თავშეკავებული იყო. ჟურნალისტის შეკითხვას, უარი თქვით თუ არა ბირთვულ იარაღზეო, მან არ უპასუხა.

გაცილებით ენაწყლიანი იყო პომპეო. მან ჟურნალისტებს განუცხადა:

– ჩრდილოეთ კორეა აშშ-ის ყველა მოთხოვნას დაეთანხმა!

თავად ტრამპმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მან და კიმ ჩენ ინმა უაღრესად მნიშვნელოვან დოკუმენტს მოაწერეს ხელი.

პრეზიდენტმა ტრამპმა ჩრდილო კორეისთვის უსაფრთხოების გარანტიების ვალდებულება აიღო, თავის მხრივ, კიმ ჩენ ინმა დაადასტურა მტკიცე და ურყევი ვალდებულება კორეის ნახევარკუნძულის ბირთვული განიარაღების გეგმასთან დაკავშირებით.

ამის შესახებ ნათქვამია დოკუმენტის საწყის ტექსტში.

ხელმოწერილი შეთანხმება 4 პუნქტს მოიცავს.

1. აშშ და ჩრდილო კორეა იღებენ ვალდებულებას, დაამყარონ ახალი ამერიკულ-ჩრდილოკორეული ურთიერთობები, მშვიდობისა და ორივე სახელმწიფოს აყვავების სურვილის შესაბამისად.

2. აშშ და ჩრდილო კორეა კორეის ნახევარკუნძულზე გრძელვადიანი და სტაბილური მშვიდობის შესაქმნელად იმუშავებენ.

3. მხარეები ამტკიცებენ 2018 წლის 27 აპრილის ფხანმუნჯომის დეკლარაციას, სადაც ჩრდილო კორეა კორეის ნახევარკუნძულის სრული ბირთვული განიარაღების ვალდებულებას იღებს.

4. აშშ-მა და ჩრდილო კორეამ აიღეს ვალდებულება, დააბრუნონ დაღუპული სამხედრო ტყვეების ნეშტები, მათ შორის უკვე იდენტიფიცირებული ადამიანების დაუყოვნებლივი რეპატრიაციის.

დოკუმენტის დასკვნით ნაწილში ხაზგასმულია სინგაპურის ეპოქალური შეხვედრის ისტორიული მნიშვნელობა, რომელიც ახალ მომავალს უხსნის კარს.

ამერიკამ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები გააფართოვა

აშშ-მა რუსეთის წინააღმდეგ სანქციები გააფართოვა. შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით, სანქციები რუსეთის სამ მოქალაქესა და ხუთ კომპანიას ეხება.

„დღეს, აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს უცხოურ აქტივებზე კონტროლის ოფისმა რუსეთის ხუთი კომპანია და რუსეთის სამი მოქალაქე იმ ჩამონათვალში დაამატა, რომელსაც №13694 ბრძანება ითვალისწინებს – „ცალკეულ პირთა ქონების ბლოკირება, რომლებიც დაკავშირებული არიან კიბერაქტიურ მუქარასთან“, – ნათქვამია შეტყობინებაში.

ინფორმაციის თანახმად, პირებმა და კომპანიებმა, რომელთა წინააღმდეგაც წესდება სანქციები, რუსეთის უსაფრთხოების ფედერალურ ბიუროს აღმოუჩინეს მხარდაჭერა.

ამერიკის მიერ სანქციები დაუწესდათ კომპანიებს: Digital Security, ERPScan, Embedi, Kvant Scientific Research Institute (Kvant) Divetechnoservices. ასევე მათ ხელმძღვანელებს ალექსანდრ ტრიბუნას, ოლეგ ჩირიკოვსა და ვლადიმერ კაგანსკის.

ცნობილია, რომ აპრილის დასაწყისში აშშ-მა ახალი სანქციები დაუწესა 24 რუს ბიზნესმენსა და მაღალჩინოსანს, საფინანსო დაწესებულებებს, სახელმწიფო და კერძო კომპანიებს, რომლებიც კრემლთან არიან დაკავშირებული.

ესპანეთის სასამართლომ მეფის სიძეს პატიმრობა მიუსაჯა

ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ მეფის ფელიპე VI-ის დის კრისტინას მეუღლეს ინიაკი ურდანგარინს 5 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ესპანეთის მეფის სიძეს ბრალი ფინანსურ მაქინაციებში ედებოდა. უზენაესი სასამართლო განიხილავდა ურდანგარინის საჩივარს ქალაქ პალმა-დე-მაიორკას სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვითაც პრინცესა კრისტინას მეუღლეს 6 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი.

უზენაესმა სასამართლომ ინიაკი ურდანგარინი გაფლანგვაში, თანამდებობრივ დანაშაულში, თაღლითობაში, გადასახადების გადაუხდელობასა და კავშირების გამოყენებაში დამნაშავედ ცნო.

საქმის განხილვა 2016 წლის 11 იანვარს დაიწყო და იმავე წლის 22 ივნისს დასრულდა.

სულ საქმეზე ბრალი 17 ადამიანს, მათ შორის პრინცესა კრისტინას ედებოდა. ეს გახდა პირველი შემთხვევა, როდესაც საბრალდებო სკამზე ესპანეთის სამეფო ოჯახის წევრი აღმოჩნდა.

პეტრო პოროშენკო: „უკრაინა ნატოს წევრი აუცილებლად გახდება!“

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა, რომ დასავლური კურსი შეუქცევადია. ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ კონკრეტულად როდის გახდებიან ნატოს წევრები, მიუგო:

– ზუსტი დღე და საათი არ ვიცი! ეს პროცესი სავარაუდოდ 2025-30 წლებში დასრულდება! შესაძლოა ოდნავ დაჩქარდეს კიდეც. მაქსიმალური ვადა 2030 წელია, – ამბობს პოროშენკო.

მიტინგი პეტერბურგში

პეტერბურგში დემოკრატიულ ძალთა მიტინგი გაიმართა. მისმა მონაწილეებმა რუსეთში არსებული ავტორიტარული რეჟიმი დაგმეს.

– რუსეთში მოქმედებს ცენზურა, ირღვევა ადამიანის უფლებები, – ითქვა მიტინგზე.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლუცია, სადაც ნათქვამია, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ რუსეთზე ზეწოლა უნდა გააძლიეროს.

– სხვაგვარად ჩვენი ქვეყანა ნორმალურ დემოკრატიულ სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდება, – თვლიან მომიტინგენი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე.
მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166.
მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● სილამაზის სალონს ესაჭროება გამოცდილი ქალის სტილისტი, მანიკური/პედიკურის სპეციალისტი და კოსმეტოლოგი. მის. ბორჯომის ქ. 6 (დეზერტირების ბაზართან). ტელ: 597050903; 558153660.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალი ნანა პაიჭაძე საგვარეულო მალამოთი ეფექტურად მკურნალობს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მუხლსახსრების ართროზს, დისკოზს, ნერვის ანთებას, ტერფისა და ქუსლების ტკივილს, ურთულეს დაავადებას ჰაიმორიტს. მის პაციენტთა შორის იყვნენ ცნობილი ადამიანები – აკადემიკოსი ანზორ შავგულიძე, მსახიობი ჯემალ ღაღანიძე, ტელეწამყვანი გიორგი გოგიჩაიშვილი და მრავალი სხვა. მის: თევდორე მღვდლის ქუჩა №48. ტელ: 593-00-08-26; 599-54-64-81.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულისსისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

ილიას ზუროსი: „მაკფადენი ძალიან კარგი კალათბურთელია“

საქართველოს საკალათბურთო ნაკრები 29 ივნისსა და 2 ივლისს მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ორ მატჩს გამართავს სერბეთისა და ავსტრიის ეროვნულ გუნდებთან.

მოახლოებული მატჩების შესახებ ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ილიას ზუროსმა კალათბურთის ფედერაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.

ილიას ზუროსი:

– გუშინ დავიწყეთ ვარჯიში. ამ ეტაპზე ახალგაზრდა კალათბურთელებთან ერთად ვემზადებით, რადგან გუნდის განვითარებასა და მომავალზე ვიფიქროთ. წინ ორი რთული მატჩი გველის. სერბეთის ნაკრების სიძლიერეზე არაფერს გეტყვით, ამასთან თითქმის სრული შემადგენლობით ჩამოდიან. არც ავსტრიაა ხელწამოსაკრავი გუნდი, რომელსაც ორი კალათბურთელი ემატება. ერთი ნბადან და ერთიც ინგლისის ჩემპიონატიდან.

ჩვენთანაც მოდიან ის კალათბურთელები, ვინც ევროლიგის დროს ვერ დაგვეხმარა. თუმცა, თორნიკე შენგელიას ესპანეთის ჩემპიონატში საფლეიოფო მატჩები აქვს და ცოტა გვიან შემოგვიერთდება. გუნდში იქნებიან გიორგი შერმადინი და მანუჩარ მარკოიშვილი, რომელსაც რთული და დამღლელი სეზონი ჰქონდა. დუდა სანაძე და გიორგი ცინცაძე ტრავმის შემდეგ დაუბრუნდნენ გუნდს და მათ ფიზიკური კონდიციები უნდა აღიდგინონ.

გუნდში რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშეა, რომელთაც ადაპტაცია უნდა მოახდინონ გუნდთან. სწორედ ამისთვის არის საჭირო მატჩები ჩეხეთის ნაკრებთან, რომლებთანაც 22-23 ივნისს ვითამაშებთ პრაღაში. არ აქვს მნიშვნელობა, მეტოქე რა შემადგენლობით დაგვიხვდება. მთავარია, ეს ახალგაზრდა კალათბურთელები და „ახალი ქართველი“ თად მაკფადენი გუნდის გარემოს შეეგუონ.

სანამ მაკფადენზე გეტყოდეთ, მინდა დიდი მადლობა ვუთხრა მაიკლ დიქსონს. ის ყოველთვის გულიანად თამაშობდა. თუმცა, ყველა კარგ ამბავს დასასრულიც აქვს და ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მომავალზე, ამიტომ უნდა ვიაროთ წინ. შეიძლება ბევრმა არ იცის, მაგრამ ფედერაციამ ძალიან დიდი სამუშაო გასწია, რათა დიქსონს ორ წელზე მეტი ეთამაშა გუნდში.

დიქსონსა და მაკფადენს ერთმანეთს ვერ შევადარებ. გეტყვით იმას, რომ მაკფადენი არის უკანახაზელი და ძალიან კარგი კალათბურთელი, მის მოსაყვანად დიდი სამუშაო იქნა გაწეული. მაკფადენს გამოვიყენებთ პირველი და მეორე ნომრის პოზიციაზე.

ჩვენი მხრივ გეტყვით, რომ დიქსონს ჩვენს ნაკრებში თამაშის 2-წლიანი ვალდებულება გასული წლის სექტემბერში ამოეწურა, თუმცა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ძალისხმევით, მაიკლმა მსოფლიოს შესარჩევი ტურნირის ნოემბრისა და თებერვლის ფანჯრებში მაინც ითამაშა და ახლა საქართველოს ნაკრების დატოვება გადაწყვიტა.

ჩვენი ნაკრების ბერძენმა მწვრთნელმა მისი შემცვლელი საბერძნეთში, ამ ქვეყნის უმაღლესი ლიგის ბომბარდირის სახით იპოვა. თად მაკფადენი გასულ სეზონში კლუბ კიმისში თამაშობდა და ეს გუნდი არსებობის ისტორიაში პირველად გაიყვანა პლეი ოფში. გამორჩეული შედეგიანობის გამო მაკფადენი ბერძნულ „ოლ სტარში“ მოხვდა.

მაკფადენამდე საქართველოს მოქალაქეობა მიიღო და ეროვნულ ნაკრებებში სათამაშოდ გზა გაეხსნა 19 წლის სანდრო მამუკელაშვილს. ის ამერიკის მოქალაქეა და მიუხედავად დიდი სურვილისა, მწვრთნელებმა საქართველოს ვერც ერთ ასაკობრივი ნაკრებში ვერ ათამაშეს.

ილიას ზუროსის გაფართოებული შემადგენლობა სადღეისოდ ასეთია:

გიორგი ცინცაძე (პოლიტექნიკა, რუმინეთი), თორნიკე შენგელია (ბასკონია, ესპანეთი), მანუჩარ მარკოიშვილი (რეჯიო ემილია, იტალია), გიორგი შერმადინი (უნიკახა, ესპანეთი), დუდა სანაძე (პისტოია, იტალია), თად მაკფადენი (კიმისი, საბერძნეთი), გოგა ბითაძე (მეგა ბიმაქსი, სერბეთი), ანატოლი ბოისა, გიორგი ტურძილაძე (ორივე კაკტუსი), მიხეილ ბერიშვილი, ილია ლონდარიძე, ნოდარ გოგოძე (ყველა დინამო), სანდრო მამუკელაშვილი (სეტონ ჰოლი, ნცაა), გიორგი ბაქრაძე, ნიკა დარბაიძე, მერაბ ბოქოლიშვილი, რევაზ როგავა, მიხეილ ჭოჭუა, (ყველა ოლიმპი), აკაკი დვალიშვილი, ბექა ბექაური (ორივე ქუთაისი), ლუკა ბულაშვილი (გრან კანარია, ესპანეთი), რატი ანდრონიკაშვილი (ბასკონია 2, ესპანეთი).

ფ ჯგუფი: გერმანია რუსეთში ტიტულის დასაცავად ჩადის

გერმანია

17 ივნისი, 19:00 გერმანია-მექსიკა;

18 ივნისი, 16:00 შვედეთი-სამხრეთ კორეა;

23 ივნისი, 19:00 სამხრეთ კორეა-მექსიკა; 22:00 გერმანია-შვედეთი;

27 ივნისი, 18:00 სამხრეთ კორეა-გერმანია; 20:00 მექსიკა-შვედეთი.

გერმანიის საფეხბურთო კავშირი 1900 წელს დაფუძნდა. ფიფას წევრი 1904 წლიდან არის. პირველი მატჩი 1908 წელს შვეიცარიის წინააღმდეგ გამართა და 3:5 წააგო. ადგილი ფიფას რეიტინგში – 1

ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი ლოთარ მათეუსს (150) აქვს ჩატარებული, ხოლო ყველაზე მეტი გოლი მიროსლავ კლოზეს (71) გაუტანია.

გზა რუსეთამდე ძალიან იოლად გაიარა და ჯგუფში, სადაც მეტოქეებად ჩრდილოეთ ირლანდია, ჩეხეთი, ნორვეგია, აზერბაიჯანი და სან მარინო ჰყავდა, ყველა თამაში მოიგო.

ბუნდესნაკრები ტიტულოვანი გუნდია: 4-გზის მსოფლიო ჩემპიონი (1954, 1974, 1990, 2014) და 3-გზის ევროპის ჩემპიონი (1972, 1980, 1996)

ბუნდესნაკრები მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გუნდია. მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი. იოაჰიმ ლიოვის გუნდი ერთადერთი გახდა, რომელმაც ევროპის კონტინენტზე შესარჩევ ციკლში ყველა მატჩი წარმატებით დაასრულა.

ამჟამად მათი სიძლიერის მთავარი განმსაზღვრელი გრძელი სათადარიგოთა სკამია. იმდენი ნიჭიერი და კვალიფიციური ფეხბურთელი ჰყავთ, 3-4 გუნდს თავისუფლად რომ გაწვდებოდა.

იოახიმ ლიოვი 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე იურგენ კლინსმანის თანაშემწე იყო. მაშინ გერმანელებმა მესამე ადგილი დაიკავეს. მერე კლინსმანმა აშშ-ში გადაბარგება გადაწყვიტა და თქვა: დანიშნეთ ჩემს ადგილზე ლიოვი, მან ზუსტად იცის რა და როგორ გააკეთოსო.

ასეც მოხდა. იმავე წლის 1 აგვისტოს იოაჰიმ ლიოვი მთავარი მწვრთნელი გახდა. ლიოვის ხელში ბუნდესნაკრები უკეთესობისკენ გარდაიქმნა და 2010-ში მოპოვებული მორიგი ბრინჯაოს მიუხედავად, სამშობლოში მას გმირივით დახვდნენ. ნდობამ გაამართლა და 2014-ში მისი ხელმძღვანელობით გერმანელებმა მეოთხედ მოიპოვეს პლანეტის უძლიერესი გუნდის ტიტული.

ნაკრების მთავარ ვარსკვლავებზე ვინმეს გამოყოფისგან თავს შევიკავებდით, რადგან თითქმის მთელი გერმანიის ნაკრების ფეხბურთელების ჩამოთვლა მოგვიწევდა. გერმანიის ნაკრების მთავარი ვარსკვლავი გერმანიის ნაკრებია.

გერმანიის ნაკრები ტურნირის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მიგვაჩნია. ყველაზე დაბალანსებული გუნდია.

შემადგენლობა

მეკარეები: მანუელ ნოიერი (ბაიერნი), მარკ-ანდრე ტერ შტეგენი (ბარსელონა, ესპანეთი), კევინ ტრაპი (პსჟ, საფრანგეთი);

მცველები: ჟერომ ბოატენგი, მათს ჰუმელსი, ნიკლას ზულე, იოშუა კიმიხი (ყველა ბაიერნი), მატიას გინტერი (მიუხენგლადბახი), იონას ჰექტორი (კიოლნი), მარვინ პლატენხარდტი (ჰერტა), ანტონიო რუდიგერი (ჩელსი, ინგლისი);

ნახევარმცველები: იულიან ბრანდტი (ლევერკუზენი), იულიან დრაქსლერი (პსჟ), ილკაი გიუნდოგანი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), სამი ხედირა (იუვენტუსი, იტალია), ტონი კროოსი (რეალი, ესპანეთი), ლეონ გორეცკა, სებასტიან რუდი (ორივე ბაიერნი), მესუთ იოზილი (არსენალი, ინგლისი);

თავდამსხმელები: მარიო გომესი (შტუტგარტი), მარკო როისი (დორტმუნდი), ტომას მიულერი (ბაიერნი), ტიმო ვერნერი (ლაიფციგი).

მექსიკა

მექსიკის ფეხბურთის ფედერაცია 1927 წელს დაარსდა, ხოლო ფიფას წევრი 1929 წელს გახდა. ამჟამად ფიფას რეიტინგში მე-15 ადგილზეა. პირველი მატჩი გვატემალასთან გამართა 1923 წელს და 3:2 მოიგო.

ნაკრებში ყველზე მეტი მატჩი კლაუდიო სუარესს (177) აქვს ჩატარებული, ყველაზე მეტი გოლი „ჩიჩარიტოს“, ხავიერ ერნანდესს (49) გაუტანია, რომელიც რუსეთშიც ითამაშებს.

მსოფლიო ტიტულებით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ რეგიონში ყველაზე წარმატებული გუნდია და კონკაკაფის ჩემპიონი 10-ჯერ გამხდარა. მას შემდეგ, რაც მექსიკას კოპა ამერიკაზე თამაშის უფლებაც დართეს, 2-ჯერ (1993, 2001) ვიცე-ჩემპიონი გახდა, საკმაოდ სოლიდურ კომპანიაში.

გზა რუსეთამდეც იოლად გაიარა. კონკაკაფის სამ რაუნდში თავისუფალი იყო, ხოლო მეოთხე რაუნდი წაუგებლად გაიარა სალვადორის, ჰონდურასისა და კანადის ნაკრებები, მეხუთე რაუნდში, ჯგუფურ ეტაპზე, მხოლოდ ერთი მატჩი წააგო და ისიც მაშინ, როდესაც მუნდიალის საგზური ჯიბეში ედო. მეტოქეებად კი, იგივე ჰონდურასი, აშშ, კოსტა რიკა, პანამა და ტრინიდადი ჰყავდა.

მექსიკის ნაკრები რეგულარულად თამაშობს მსოფლიო ჩემპიონატებზე, თუმცა საუკეთესო შედეგი 1970 და 1986 წლების მუნდიალების მეოთხედფინალებში გასვლა გახლდათ. საერთოდ კი, მათ 15 მსოფლიო ჩემპიონატზე უთამაშიათ, რაც საუკეთესო მაჩვენებელია იმ გუნდებს შორის, რომლებიც ჩემპიონები არ გამხდარან.

მექსიკელთა კიდევ ერთი საინტერესო რეკორდი ის არის, რომ მათ ყველაზე მეტჯერ (7), მიუღიათ მსოფლიო ჩემპიონატების გახსნის მატჩებში მონაწილეობა (ბოლოს 2010 წელს).

მექსიკელებს ჰყავდათ ლეგენდარული მეკარე ანტონიო კარბახალი, რომელსაც ყველაზე მეტ, 5 მუნდიალზე მიეღო მონაწილეობა (1950-66). 90-იან წლებში მას გერმანელი ლოთარ მათეუსი გაუთანაბრდა (1982-98). და ისევ მექსიკელი – რუსეთში ითამაშებს რაფაელ მარკესი, რომლისთვისაც მეხუთე მსოფლიოს ჩემპიონატი იქნება.

მექსიკის ნაკრებს 56 წლის ხუან კარლოს ოსორიო წვრთნის, რომელიც 2015 წლის ჩაუდგა გუნდს სათავეში. მანამდე, ოსორიო, სტიუარტ პირსის თანაშემწე იყო მანჩესტერ სიტიში. შემდეგ კარიერა მშობლიურ კოლუმბიაში, მერე კი მექსიკაში, ბრაზილიასა და აშშ-ში გააგრძელა. საკლუბო დონეზე წარმატებები აქვს, მექსიკის ეროვნული გუნდი კი, მისი პირველი სანაკრებო „პროექტია“

ხავიერ ერნანდეს ბალკასარი, იგივე ჩიჩარიტო ყველაზე ცნობადი სახეა მექსიკის ნაკრებში. 31 წლის, ვესტ ჰემის შემტევი ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია 49 გოლით. აქვე არიან რაფა მარკესი, კარლოს ველა, ჯოვანი დოს სანტოსი.

მექსიკელებს ყოველთვის მოტივირებული გუნდი ჰყავთ, მაგრამ კლასის ნაკლებობის გამო, ყველაზე საჭირო მომენტში თავს ვეღარ ერევიან ხოლმე. ამიტომ, მაქსიმუმი ჯგუფიდან გასვლა გვგონია. ერთია, წიწაკების ქვეყანა, მწარედ იკბინებიან.

შემადგენლობა

მეკარეები: გილერმო ოჩოა (სტანდარდი), ხესუს კორონა (კრუს ასული), ალფრედო ტალავერა (ტოლუკა);

მცველები: ედსონ ალვარესი (ამერიკა), უგო აიალა (ტიგრესი), ხესუს გალიარდო (უნამი), მიგელ ლაიუნი (სევილია), ექტორ მორენო (სოსიედადი), დიეგო რეიესი (პორტუ), კარლოს სალსედო (აინტრახტი), რაფაელ მარკესი (ატლასი);

ნახევარმცველები: მარკო ფაბიანი (აინტრახტი), ხონათან დოს სანტოსი, (ლოს ანჯელეს გელექსი), ანდრეს გუარდადო (ბეტისი), ექტორ ერერა (პორტუ), ხავიერ აკინო (ტიგრესი);

თავდამსხმელები: ჯოვანი დოს სანტოსი (ლოს ანჯელეს გელექსი), ხავიერ ერნანდესი (ვესტ ჰემი), რაულ ხიმენესი (ბენფიკა), ირვინგ ლოსანო (პსვ), ორიბე პერალტა (ამერიკა), კარლოს ველა (ლოს ანჯელესი).

სამხრეთ კორეა

სამხრეთ კორეის ფეხბურთის ფედერაცია 1928 წელს დაარსდა, ფიფას წევრი მოგვიანებით – 1948 წელს. რეიტინგში კი, 61-ე ადგილი უჭირავს. პირველი მატჩი ჰონგ კონგთან გამართა და 5:1 მოიგო.

ყველაზე მეტი მატჩი ბუმ-კუნ ჩას (138) აქვს ჩატარებული, ბომბარდირიც (59) თავადვე არის.

სამხრეთ კორეის ნაკრები ორჯერ გახდა აზიის ჩემპიონი (1956, 1960). გაგიკვირდებათ და ასეთი „მიღწევების“ პატრონნი, მსოფლიო ჩემპიონატზე მე-4 ადგილზეც გასულან. ეს 2002 წელს მოხდა, როდესაც თავად უმასპინძლეს (იაპონიასთან ერთად) მუნდიალს. თუმცა, ნახევარფინალამდე მსაჯების უდიდესი დახმარებით გააღწიეს.

გზა რუსეთამდე ბრძოლაში გაიარეს. აზიის საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე რაუნდი (პირველი რაუნდიდან სამხრეთ კორეა თავისუფალი იყო), სადაც ჯგუფში მიანმარი, ლაოსი და ქუვეითი ჰყავდა, იოლად გაიარეს, მაგრამ გაუჭირდათ მესამე რაუნდში. ჩინეთი, სირია, ირანი, უზბეკეთი და ყატარი კერკეტი მეტოქეები აღმოჩნდნენ. კორეელებმა 10 მატჩიდან 4 მოიგეს, 3 ფრედ დაასრულეს და 3 წააგეს. თუმცა, რუსეთში გასასვლელად ეყოთ.

სამხრეთ კორეის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე პირველად 1954 წელს გამოჩნდა, როცა ქვეყანა ახალი გაყოფილი იყო ორად. შემდეგ 32 წელი დასჭირდათ, სანამ ისევ მოხვდებოდნენ მუნდიალზე. 1986 წლიდან კი, არც ერთი ტურნირი აღარ გამოუტოვებიათ. როგორც გითხარით, ყველაზე „წარმატებული“ 2002 მსოფლიო თასი გახდა, როცა საშინაო მუნდიალზე ნახევარფინალში გააღწიეს და ჯამში მეოთხე ადგილი დაიკავეს.

დღევანდელი ნაკრები წინამორბედებისგან დიდად არ განსხვავდება. სხარტი და დაბალანსებული გუნდია. თუმცა ოსტატობის ნაკლებობა დიდი მიზნებისთვის ბრძოლის საშუალებას არ აძლევთ.

კორეის ნაკრებს 49 წლის შინ ტაე-იონგი წვრთნის, რომელიც თავადაც თამაშობდა ქვეყნის ნაკრებში და 23 მატჩში 3 გოლი გაიტანა. 2014 წელს ის კორეის ნაკრების მწვრთნელთა საბჭოში შეიყვანეს, იმავე წლის აგვისტოში მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნეს, თუმცა ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია და ადგილი გერმანელ ული შტილიკეს დაუთმო. ცოტა ხანს ახალგაზრდულ ნაკრებში იმუშავა, რიოს ოლიმპიადაზე გაიყვანა და იქ მეოთხედფინალამდე მიაღწია. შემდეგ ახალგაზრდული ნაკრებს აზიის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ვერცხლის მედლები მოაპოვებინა და 2017-ის ივლისში „ვეფხვების“ მთავარ დამრიგებლად დანიშნეს.

ყველაზე ცნობილი კორეელი ფეხბურთელი სონ ჰიუნგ-მინი, ანუ უბრალოდ სონი გახლავთ. 25 წლის ტოტენჰემის შემტევი დღევანდელი გუნდის ნამდვილი ლიდერი, სული და გულია. ტოტენჰემში წლეულს მას წარმატებული სეზონი ჰქონდა – 18 გოლი გაიტანა.

კორეის ნაკრები ტრადიციულად საკუთარ მინდორზეა ძლიერი. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ რაიმე მოულოდნელობა მოახდინონ რუ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

იბრაჰიმოვიჩი: „შვედეთს ძლიერი ნაკრები ჰყავს“

ზლატან იბრაჰიმოვიჩმა შვედეთის ნაკრების შანსებზე ილაპარაკა და თქვა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე შვედებს შეუძლიათ, წარმატებას მიაღწიონ.

ზლატანის აზრით, ტურნირის მთავარი ფავორიტი ბრაზილიის ნაკრებია.

– ვფიქრობ, მსოფლიო ჩემპიონატის მოგების ყველაზე კარგი შანსი ბრაზილიელებს აქვთ, მაგრამ სხვა ნაკრებებიც არ უნდა ჩამოვწეროთ. მიხარია, რომ შვედეთი ამ ტურნირში მონაწილეობს და მათ შეუძლიათ, წარმატებას მიაღწიონ. ჩვენ საკმაოდ ძლიერი ნაკრები გვყავს, – განაცხადა იბრაჰიმოვიჩმა.

თვითონ ზლატანი მსოფლიო ჩემპიონატზე არ ითამაშებს, რადგან სანაკრებო კარიერა დაასრულა.

ანტუან გრიზმანის მომავალი კვლავ გაურკვეველია

მადრიდის ატლეტიკოს ფორვარდ ანტუან გრიზმანის მომავალი კვლავ გაურკვეველია და ჯერჯერობით არავინ იცის, გადავა თუ არა ის ბარსელონაში.

გრიზმანის თქმით, მან გადაწყვეტილება უკვე მიიღო, თუმცა ამის შესახებ ხმამაღლა ჯერჯერობით არ ისაუბრებს.

გრიზმანი ამჟამად საფრანგეთის ნაკრებთან ერთად რუსეთში იმყოფება, სადაც მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება.

თავისი მომავალი კლუბის შესახებ განცხადებას გრიზმანი, სავარაუდოდ, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გააკეთებს.

ზინედინ ზიდანი: „ჯერჯერობით საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელობას არ ვაპირებ“

მადრიდის რეალის ყოფილმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ ჯერჯერობით ფეხბურთისგან დასვენებას აპირებს. მომავალში ზიდანმა არ გამორიცხა საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელობის შესაძლებლობა:

– ჯერჯერობით მხოლოდ ის ვიცი, რომ დასვენება მსურს, თუმცა მომავალში აუცილებლად გავაგრძელებ სამწვრთნელო კარიერას. საფრანგეთის ნაკრებზე არ მიფიქრია, თუმცა ეროვნული გუნდის მწვრთნელობა ყოველთვის საინტერესოა.

ზიდანი ამჟამად პარიზში იმყოფება, სადაც ოჯახთან ერთად ისვენებს.

გურამ კაშია კარიერას სან ხოსეში გააგრძელებს

საქართველოს ნაკრების კაპიტანი გურამ კაშია, სავარაუდოდ, კარიერას ამერიკაში, კერძოდ კი სან ხოსეში გააგრძელებს. კაშია 2010 წლიდან ჰოლანდიური ვიტესის ღირსებას იცავს და ამ გუნდის შემადგენლობაში 245 შეხვედრა ჩაატარა. სან ხოსეს მხრიდან დაინტერესება რამდენიმე კვირაა არსებობს და, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მალე ეს ტრანსფერი ოფიციალური გახდება.

აღსანიშნავია, რომ სან ხოსეში უკვე თამაშობს ერთი ქართველი, ვაკო ყაზაიშვილი და, სავარაუდოდ ეს ფაქტორიც მნიშვნელოვანი იქნება ამ ტრანსფერის განხორციელების დროს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ბრიტანეთში პორნოს გადასაღებად ტაქსი გაიტაცეს

პორნო ვებგვერდის Fake Taxi-ს მფლობელებმა თავიანთი პირველი პორნოავტომობილის გატაცების თაობაზე გაავრცელეს განცხადება.

გამტაცებლებს, როგორც ჩანს, თვალში მოუვიდათ შავი კები, რომელშიც პირველად იქნა გადაღებული მძღოლისა და მგზავრის სექსის სცენები.

ავტომობილი ლონდონის სატონის რაიონში ერთ-ერთ ავტოსადგომზე იყო გაჩერებული, როდესაც ორი ბოროტმოქმედი გადაძვრა ღობეზე. მათ მანქანის გვერდითი მინა გახსნეს, შიგნით შეაღწიეს და ავტომობილი წაიყვანეს. ერთ-ერთმა „მძღოლმა“, მსახიობმა რაიან რაიდერმა, ინციდენტს „პორნოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული“ უწოდა და თვითმხილველებს თხოვნით მიმართა, ავტომობილის ადგილსამყოფელის შესახებ აცნობონ.

ავტომობილის ძებნაში ჩაერთო ყველაზე ცნობილი პორნოსტუდია Brazzers, რომელმაც ხეშტეგი შექმნა და მანქანის გატაცების თაობაზე ინფორმაცია საკუთარ რესურსებზე გაავრცელა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ფ ჯგუფი: გერმანია რუსეთში ტიტულის დასაცავად ჩადის

დასაწყისი მე-9 გვერდზე

სეთში. ჯგუფშიც სამივე გუნდი (გერმანია, შვედეთი, მექსიკა) კლასით მათზე მაღლა დგანან. ამიტომ, ვფიქრობთ, ისინი ჯგუფიდან ვერ გავლენ.

შემადგენლობა

მეკარეები: კიმ სინ გიუ (კობე), კიმ ჯინ ჰენი (ოსაკა), შიუ ჰიუნ უ (ტეგუ);

მცველები: კიმ ენ გვონი (გუანჯოუ), ჩან ჰენ სუ (ტოკიო), იუნ ენ სონი (სონამი), ო ბან სუკი, ლი ენი (ორივე ჩეჯუ), კიმ ჯინ სუ (ჩონბუკი), კიმ მინ უ, ჰონ ჩული (სანჯუ), პაკ ჩუ ჰო (ულსან ჰენდე), კო ე ჰანი (სეული);

ნახევარმცველები: კიმ სონ ენი (სუონსი), კუ ჯა ჩჰოლი (აუგსბურგი), ლი ჯე სონი (ჩონბუკი), ლი სინ უ (ვერონა), მუნ სონ მინი (ინჩჰონი), ჩონ უ ენი (კობე), ჩუ სე ჯონი (მუნგჰუა);

თავდამსხმელები: კიმ სინ უკი (ჩონბუკი), სონ ჰინ მინი (ტოტენჰემი), ჰვან ჰი ჩჰანი (ზალცბურგი).

შვედეთი

შვედეთის ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1904 წელს და ფიფაშიც იმავე წელს გაწევრიანდა. რეიტინგში 23-ე ადგილზეა. პირველი მატჩი 1908 წელს ნორვეგიასთან გამართა და 11:3 დაამარცხა.

ყველაზე მეტი მატჩი ანდერს სვენსონს (148) აქვს ჩატარებული, ხოლო ყველაზე მეტი გატანილი გოლი ზლატან იბრაჰიმოვიჩს (62).

შვედეთი დიდი მიღწევებით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ჩრდილოური კლუბის კვალობაზე, არცთუ ურიგოდ გამოიყურება. ვერცხლი 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც მისთვის შინაურ კედლებში ჩატარდა. ორჯერ მესამე ადგილზე გავიდა – 1950, 1994, ხოლო ერთხელაც მეოთხეობას დასჯერდა – 1938.

ევროპის ჩემპიონატზე მაქსიმალური მიღწევა ნახევარფინალია, სადაც 1992 წელს გააღწია.

სამაგიეროდ, ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულია და ეს 1948 წელს მოხდა, ხოლო 1924 და 1952 წლებში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

გზა რუსეთამდე ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა და სერიოზული ბრძოლების გადატანა მოუწია და პატარა სასწაულიც გაჩარხეს. ჯერ კიდევ საკვალიფიკაციო ეტაპზე, ჯგუფში სადაც საფრანგეთი, ჰოლანდია, ბულგარეთი, ლუქსემბურგი და ბელარუსი ჰყავდა მეტოქეებად, ჰოლანდიასთან ერთად 2-3 ადგილები გაიყო და ბურთების უკეთესი სხვაობით აჯობა, რათა ფლეი ოფში გასულიყო. იქ კი მეტოქედ, არც მეტი, არც ნაკლები, იტალიის ეროვნული გუნდი ელოდა. თუმცა, სკანდინავიელები არ შეუშინდნენ მრისხანე მეტოქეს, შინ 1:0 მოუგეს, სტუმრად 0:0 ითამაშეს და რუსეთის ბილეთი აიღეს.

შვედები 30-იანი წლებიდანვე მონაწილეობდნენ მსოფლიო ჩემპიონატებზე და მათ მიღწევებზე უკვე გითხარით. წლევანდელი მუნდიალი მათთვის რიგით მე-12 იქნება. შვედებმა ზლატან იბრაჰიმოვიჩის გარეშე მსოფლიო ჩემპიონატსმიღმა ჰოლანდიის და იტალიის ეროვნული გუნდები დატოვეს, რაც თავისთავად ბევრზე მეტყველებს.

მწვრთნელი, იანე ანდერსონი აქამდე დიდი მიღწევებით ვერ დაიკვეხნიდა, ვერც მშობლიურ შვედეთში და ვერც საერთაშორისო ასპარეზზე. თავიდან ბევრი სკეპტიკურად უყურებდა ეროვნული გუნდის თავკაცად მისი დანიშვნის პერსპექტივას. თუმცა, შედეგი დადო.

შვედების გამოკვეთილი ლიდერი გერმანული ლაიფციგის შუახაზელი ემილ ფორსბერგია. თავის გუნდთან ერთად ის მეორე ბუნდესლიგიდან პირველში გადავიდა და „ლაიფციგური სასწაულის“ ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი გახდა.

მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრა შვედებისთვის უკვე წარმატებაა. მაგრამ, თუ ასეთი გუნდების დამარცხება შეძლეს, რატომ უფრო მეტიც არა? ჯგუფიდან გასვლასაც რომ შეეცდებიან, ფაქტია. ვნახოთ, რა გამოუვათ უფრო შორს.

შემადგენლობა

მეკარეები: რობინ ოლსენი (კოპენჰაგენი), კარლ-იოჰან ჯონსონი (გენგამი), კრისტოფერ ნორდფელდტი (სუონსი);

მცველები: მიკაელ ლუსტიგი (სელტიკი), ვიქტორ ლინდელოფი (მანჩესტერი), ანდრეას გრანქვისტი (კრასნოდარი), მარტინ ოლსონი (სუონსი), ლუდვიგ აუგუსტინსონი (ვერდერი), ფილიპ ჰელანდერი (ბოლონია), ემილ კრაფტი (ბოლონია), პონტუს იანსონი (ლიდსი);

ნახევარმცველები: სებასტიან ლარსონი (ჰალ სიტი), ალბინ ეკდალი (ჰამბურგი), ემილ ფორსბერგი (ლაიფციგი), გუსტავ სვენსონი (სიეტლი), ოსკარ ჰილიემარკი (ჯენოა), ვიქტორ კლაესონი (კრასნოდარი), მარკუს როდენი (კროტონე), ჯიმი დურმაზი (ტულუზა);

თავდამსხმელები: მარკუს ბერგი (ალ-აჰლი), ჯონ გუიდეტი (ალავესი), ისააც ტელინი (ბევერენი), ოლა ტოივონენი (ტულუზა).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

13 ივნისისთვის

ვერძი – კრიტიკული დღეა. კონფლიქტში ნუ ჩაერთვებით. სრულყავით პროფესიონალიზმი. **კურო** – საქმიანი შეხვედრები იღბლიანი იქნება. მიზანს აღწევთ. **ტყუპები** – საქმე ნელა აკეთეთ. აჩქარება მხოლოდ უკან დაგხვევთ. **კირჩხიბი** – ნუ იქნებით არაკორექტული. ერიდეთ მკვახე გამონათქვამებს. ანგარიში გაუწიეთ გარშემომყოფთა ინტერესებს. **ლომი** – ნუ ეცდებით, რამდენიმე პრობლემა დღესვე მოაგვაროთ. გაითვალისწინეთ მეგობრების გამოცდილება. **ქალწული** – ძალზე კონფლიქტური დღეა. სიტუაციას მხოლოდ თავშეკავებით განმუხტავთ. **სასწორი** – პირველ რიგში საოჯახო საქმეები მოაგვარეთ. დაიწყეთ რთულით. **ღრიანკალი** – ავანტიურაში ნუ ჩაერთვებით. პროვოკაციული დღეა. გადაიხადეთ ვალი. **მშვილდოსანი** – მიუხედავად იმისა, რომ მატერიალური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ფულს ნუ გაფლანგავთ. **თხის რქა** – ინტიმურ სფეროში გიმართლებთ. მოსალოდნელია სასიხარულო ახალი ამბავი. **მერწყული** – საყვარელ ადამიანებს თქვენი სითბო და ყურადღება სჭირდებათ. ერიდეთ ზედმეტ ხარჯებს. **თევზები** – მშვიდი დღეა. გარშემომყოფებთან ჰარმონიულ ურთიერთობას ინარჩუნებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯროსვოოდი ბ

შვეულად: 1. ქვის, ღორღის დამუქუცმაცებელი მანქანა; 2. კუთხე საქართველოში; 3. „ჯენერალ მოტორსის“ ფირმის მსუბუქი ავტომობილი; 4. ტანსაცმლის, თეთრეულის კარადა; 8. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 11. კურორტ ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 12. უალკოჰოლო, მატონიზირებელი სასმელი; 14. მრავალწლოვანი სამკურნალო მცენარე; 16. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 17. გემის ხელსაწყოების ერთობლიობა; 19. მტკიცე ლითონი, რკინისა და ნახშირბადის ნაერთი; 21. ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამი.

თარაზულად: 5. ზღვის დიდი ათფეხა ჯავშნიანი კიბორჩხალა; 6. სახელმწიფო ევროპაში; 7. ნაოსნობისთვის გამოსადეგი წყლის სივრცე; 10. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში; 13. კათოლიკე მამათა მონასტრის წინამძღვარი; 15. გულში ნადები სევდა, ბოღმა; 18. უარყოფითად დამუხტული ელექტროდი; 20. პატარა ტანის მაიმუნი; 22. მონასტრებისთვის სურსათ-სანოვაგის შეგროვება ძველად; 23. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 24. საზღვაო ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. „რეკორდი“; 2. „ფორბსი“; 3. კონტრალტო; 4. ბერდია; 5. ტაშკენტი; 7. „გალო“; 11. მერდინი; 13. ჩერჩილი; 15. დასტა; 16. „თეთრა“; 18. ნამყო; 19. ლავრა.

თარაზულად: 6. „ელეგია“; 8. ბოსფორი; 9. „ჩარდაში“; 10. რეფორმა; 12. რიეკა; 14. „ქაჯანა“; 17. ტარანტული; 20. თრილერი; 21. სტრიტი; 22. ყაურმა; 23. პასკვილი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. „ლამარა“; 2. კრიტიკა; 3. ციხეგოჯი; 4. ტრაილერი; 8. საარინენი; 9. ბენტონიტი; 11. ფოფოდია; 12. ჯიპი; 14. ქერი; 16. სეკატორი; 17. სკლეროზი; 19. ალონსო; 21. თრუსო.

თარაზულად: 5. სიმპტომი; 6. დირიჟორი; 7. თურმანიძე; 10. ბორანო; 13. რინერი; 15. სპიდვეი; 18. ჩედერი; 20. ახტალა; 22. გეომეტრია; 23. პრეფიქსი; 24. უსურვაზი.

სულხან-საბა ორბელიანის 360 წლის იუბილე რუსთაველის თეატრში აღინიშნება



15 ივნისს სულხან-საბა ორბელიანის 360 წლის იუბილეს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ აღნიშნავს.

როგორც ფონდის პრეზიდენტმა ბონდო კობაძემ განაცხადა, ეს იქნება მასშტაბური ღონისძიება, რომელსაც საქართველოდან ჩამოსული დელეგაციებიც დაესწრებიან.

– სულხან-საბა ორბელიანის 360 წლის იუბილეს 15 ივნისს ბესიკის ქუჩაზე მდებარე სულხან-საბას ძეგლთან დავიწყებთ და რუსთაველის თეატრში დავასრულებთ. ჩვენი ფონდი დააჯილდოვებს ადამიანებს, რომლებსაც ქართულ კულტურაში განსაკუთრებული წვლილი აქვთ შეტანილი, მათ შორის იქნებიან სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ხელოვანები, – განაცხადა ბონდო კობაძემ.

სპეციალურად ამ იუბილესთვის მომზადდა 770 გვერდიანი წიგნი „სულხან-საბა ორბელიანი 360“, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით გამოიცა. წიგნი შეტანილია ფართო საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი მასალები და უნიკალური ფოტოები.

ვაჟა-ფშაველას შედევრები იაპონურად ითარგმნა

ვაჟა-ფშაველას პოემები და მოთხრობები იაპონურ ენაზე ითარგმნა. მწერლისა და პოეტის ნაწარმოებები ქართულიდან იაპონურ ენაზე იასუჰირო კოჯიმამ თარგმნა.

ინფორმაცია მწერალმა **მიხო მოსულიშვილმა** გაავრცელა:

– აი, ახლა კი გაარკვევს იაპონელი მკითხველი, როგორ გაივლიან ვაჟა-ფშაველას დამკვიდრებული „კაი ყმის“ იდეალის განმასახიერებელი პერსონაჟები, მისი პოემების გმირები იაპონელი სამურაების „ბუშიდოს“, ანუ „მეომრის გზას!“

და ეს პერსონაჟები რატომ მიაგვანან აკუტაგავა რიუნოსკეს დახატულ სამურაებს!

ვაჟა-ფშაველას შედევრები იაპონურად

ქართულიდან იაპონურად მთარგმნელი – იასუჰირო კოჯიმა

პოემები: „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გველისმჭამელი“, მოთხრობები: „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „ვერხვი“ და „ჩხიკვთა ქორწილი“.

ირაკლი კაკაბაძეს წოლითი რეჟიმი დაუნიშნეს

მწერალსა და დრამატურგს ირაკლი კაკაბაძეს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს. მას ექიმებმა წოლითი რეჟიმი დაუნიშნეს:

– საავადმყოფოდან ერთი მხრივ გახარებული გამოვედი, ტვინის გარდამავალი იშემია არ აღმოჩნდა სრულფასოვანი გაჟონვა. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ეს სიმპტომები თურმე მოამზადა ჰაიმორიტმა. ჰაიმორიტს რომ ეს შეძლებია, არ ვიცოდი და თურმე შარო საიდან მოდიხარო. ახლა გამომიწერეს ექიმებმა დაახლოებით 10 დღე ინტენსიური მკურნალობა სახლში წოლითი რეჟიმით მწვავე ჰაიმორიტზე და გაჟონვა აქედან იყო გამოწვეულიო. ასე ვარ გაჟონვით სახლში და ჰაიმორიტს ვმკურნალობ.

„იქს ფაქტორი“ თამუნა გიორგაძემ დატოვა

„იქს ფაქტორის“ საკონკურსო ტური, რომელიც ლეგენდარული ჯგუფის „ქვინის“ რეპერტუარს მიეძღვნა, წარუმატებელი ანრი ჯოხაძის კონკურსანტის თამუნა გიორგაძისთვის აღმოჩნდა.

პროექტში ჯგუფის საუკეთესო სიმღერები შესრულდა. 31.742 ხმიდან ყველაზე მეტი ხმა თამთა გოდუაძის კონკურსანტმა ია ტომაშმა დააგროვა. აუთსაიდერები კი ალექს კიკვიძე და თამუნა გიორგაძე გახდნენ. მაყურებლის გადაწყვეტილებით, პროექტი თამუნამ დატოვა.

მომდევნო საკონკურსო ტურში ანრი ჯოხაძე და დავით ევგენიძე თითო-თითო კონკურსანტით იქნებიან წარდგენილნი.

სამგლოვიარო განცხადებები

და ვალენტინა, ციური, ნაზი, ანზორ ანთიძეები, დავით ჯოხაძე, ნათია მეტრეველი, დეკანოზი დავით მამალაძე ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული პიროვნება

დავით მათეს ძე ანთიძე

პანაშვიდი: 12, 13 ივნისს, 18 საათზე.

დაკრძალვა: 14 ივნისს, 14 საათზე.

მისამართი: ვაზისუბნის დასახლება, VIII კორპუსი, III სადარბაზო, III სართული, ბინა №56 (ისნის რაიონი, საბაგიროსთან).

ბიძაშვილი იზოლდა ლეჟავა ოჯახით მწუხარებით იუწყება მამიდაშვილის

ზურაბ დიდიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

„მხოლოდ ქართულის“ გამარჯვებული სოფო ბათილაშვილი გახდა

მუსიკალური შოუს „მხოლოდ ქართულის“ პირველი სეზონი დასრულდა. ფინალის დასაწყისში მსმენელის წინაშე პროექტის პედაგოგი ნუკრი კაპანაძე წარდგა, რომელმაც გიო ხუციშვილის სიმღერა „ამოდი, ამოანათე“ შეასრულა და ის გარდაცვლილი მომღერლის ხსოვნას მიუძღვნა.

„მხოლოდ ქართულის“ გამარჯვებული კი 18 წლის სოფო ბათილაშვილი გახდა. სოფოს კონკურსის მთავარი პრიზი ნიკა გვარამიამ გადასცა.

„მხოლოდ ქართულის“ ფინალი 3 საკონკურსო ტურისგან შედგებოდა. ყველა ფინალისტმა სამ-სამი სიმღერა შეასრულა, სამივე ტურში ხმათა უმრავლესობით სოფო ბათილაშვილმა გაიმარჯვა, საბოლოოდ კი, როგორც შოუს წამყვანებმა ნანუკა ჟორჟოლიანმა და მაია ასათიანმა განაცხადეს, ფინალში სულ 700.000 ხმა შევიდა და მათგან ყველაზე მეტი 100.000 ხმა სოფო ბათილაშვილმა მიიღო. მეორე ადგილზე საბა კემულარია გავიდა, მესამეზე – ალექსანდრე მრელაშვილი, მეოთხეზე კი – კონსტანტინე კარანაძე.

ყველა ფინალისტმა სხვადასხვა კომპანიებისგან სამახსოვრო საჩუქრები და ფულადი პრემიები მიიღო. ალექსანდრე მრელაშვილს „არგომ“ ბავშვობის ოცნება აუხდინა და ის ემინემის კონცერტზე გაემგზავრება.

„რუსთავი 2“-ის რჩეული კონსტანტინე კარანაძე გახდა. მას ნიკა გვარამიას განცხადებით, სტიპენდიის სახით 10.000 ევრო გადაეცემა.

პროექტის გამარჯვებულმა სოფო ბათილაშვილმა ოროთახიანი ბინა მოიგო ეკო გლდანში, ავერსი ფარმამ კი ოცნება აუხდინა და ის ბერკლის მუსიკალურ კოლეჯში ისწავლის.

სოფო ბათილაშვილი:

– მუდამ მუსიკოსობა მინდოდა, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე დაკვრა. სხვადასხვა ჟანრების გაცნობა და მორგება ჩემს ჰობად იქცა, მინდოდა ყველა ჟანრში მეცადა თავი, ხან ერთს ვსწავლობდი, ხან მეორეს, იმიტომ, რომ მხოლოდ ერთი არასდროს მყოფნიდა, თითქოს ყველაფერი ერთად მჭირდებოდა და მჭირდება, ეს ძალიან ჰგავს წყურვილის დაუსრულებელ მოთხოვნილებას...

თითქმის ყველა მეუბნებოდა, მშიერი დარჩები, თუ რამე სხვაც არ ისწავლეო, ალბათ გარდატეხის ასაკში ამან ამიცრუა გული იმ ქვეყანაზე, რომელშიც ვცხოვრობდი, ამიტომ ჩემს ოცნებად იქცა აქედან გაქცევა.

ინგლისური ენა კარგად შევისწავლე და ინგლისურენოვან სიმღერებში დავიწყე გამოსავლის ძებნა... რამდენიმე წელში მეტი განათლება მივიღე, გავიზარდე, ეს სიძულვილის ფაზა გადავლახე და მოვლენებისთვის სხვაგვარად შეხედვა დავიწყე, მივხვდი, რომ თუ წავალ, სამუდამოდ გადავცხოვრდები, ბედნიერი ვერ ვიქნები, ზუსტად იმიტომ, რომ გავიქეცი, გავექეცი პასუხისმგებლობას, რომელიც თავის დროზე ვერ გავიაზრე...

ვფიქრობდი ხოლმე, აქ რატომ დავიბადე-მეთქი, სხვაგან ხომ ყველაფერი ბევრად მარტივად მექნებოდა, ვიშრომებდი და პროპორციულადვე მექნებოდა სასურველი. ეგ შეიძლება მართლაც ეგრეა, მაგრამ ახლა ვხვდები, აქ რატომაც დავიბადე, ახლა ვხვდები, რა პასუხისმგებლობა მაქვს ამ ქვეყნის წინაშე, ახლა დაახლოებითი წარმოდგენა მაქვს, თუ რისი გაკეთება შემიძლია და მინდა ჩვენი საქართველოსთვის...

მადლიერი ვარ ყველა იმ ადამიანის, ვინც ჩემი უდიდესი სურვილების ახდენაში მონაწილეობა მიიღო. მე განათლებას მივიღებ იმ სასწავლებელში, რომელიც მიუღწეველი იყო ფინანსური საკითხების გამო. დავესწრები ბიონსეს კონცერტს და აუცილებლად ჩემთან ერთად წავიყვან იმ ადამიანს, რომელსაც მე მგონი ბიონსე ჩემზე მეტად უყვარს, ათეულის წევრს, უნიჭიერეს მომღერალს, ჩემს ქრისტინე ჯაფარიძეს, რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან ადრე გამოეთიშა პროექტს...

ვეცდები თავი არ შეგაწყინოთ, უბრალოდ ვერ მოვისვენებ, თუ ჩემს მადლიერებას არ გამოვხატავ გენიალური მუსიკოსების მიმართ, მე ბედნიერი ვარ, რომ მათთან მუშაობის საშუალება მომეცა... ჩემს მადლიერებას გამოვხატავ რუსთავი 2-ის და მისი მთელი შემოქმედებითი ჯგუფების მიმართ, იმისთვის, რომ ბევრი სიყვარული მაჩუქეს, ძალიან მეგობრად მიმიღეს...

მადლიერება მინდა გამოვხატო ჟიურის წევრების მიმართ! მე უზომოდ მიყვარს და ვაფასებ თითოეულ ადამიანს, რომელმაც მოტივაცია მომცა, რომელმაც მომიწონა ან ჯანსაღად გამიკრიტიკა ჩემი ნებისმიერი ნაბიჯი მუსიკაში. მე მუსიკისთვის დავიბადე. მინდა თუ არ მინდა, ჩემგან დამოუკიდებლად მოხდა ეგ, სხვანაირად არ შემიძლია, შიგნიდან არ მასვენებს და ყველაფერს ხეთქავს...

როცა მუსიკის გზით ვსაუბრობ, სრულად შეურაცხადი ვხდები, რაც ცოტა სასაცილოა ალბათ, მაგრამ ესაა ის საკომუნიკაციო ენა, რომლითაც ჩემი იდეების სრულად გადმოცემა შემიძლია...

ჩემი გული და ტვინი ანთებულია, მადლიერია ადამიანების, რომლებმაც მათთვის ნაცნობი თუ სრულიად უცხო მიმიღეს, შემიყვარეს და ამდენჯერ, ამდენი დამირეკეს.

ისტორიული პროექტის პირველი, ცინცხალი სეზონის მონაწილე და გამარჯვებული გავხდი, თუმცა ეს ის შემთხვევა მინდა იყოს, როცა ფინალი და გამარჯვება მხოლოდ და მხოლოდ ტრამპლინია, რომელმაც უნდა აგტყორცნოს იქ, სადაც სხვა ტრამპლინებისაკენ მიმავალი გზა იწყება.

ადამიანად მოვედი ამ პროექტში, არაფერი მქონდა გულში მუსიკის, სიყვარულის და თავში ჩემი სამყაროს გარდა. ეს გამარჯვება მხოლოდ ჩემი არაა, ეს გამარჯვება თქვენია – ოჯახის, მეგობრების, ჩემი გულშემატკივრების, ჩემთვის ძვირფასი ადამიანების და უბრალოდ მათი, ვისაც მოტივაცია სჭირდებოდა.

ბევრი უარის და იმედგაცრუების შედეგია ეს ყველაფერი, როცა თავადაც არ გჯერა საკუთარი თავის. უსმინე წრფელ გულს, უსმინე ტვინს, უსმინე სხეულს, ნუ შეგრცხვება საკუთარი თავის, ყველაფერი უკეთესობისთვის ხდება, ყველაფერი მიღწევადია, არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა. მიყვარხართ.

ზურა ხაჩიძე სიმღერების ქურდებს აფრთხილებს

ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ ერთ-ერთი წევრი, მომღერალი ზურა ხაჩიძე სიმღერების ქურდებს აფრთხილებს:

– გავაფორმე კონტრაქტი და ყველა ჩემს სიმღერაზე უკანონოდ მოპარულ, ატვირთულ, გაყიდულ პასუხისმგებლობას და უფლებებს დაიცავენ. საავტორო უფლებები დაცული იქნება ასევე ჯგუფის ნებისმიერ პირატულად მოპარულ პროდუქციაზე. გახარებულ ვარ.

სოფო კილასონია დედაქალაქის თეატრებს ჰომოფობიის გავრცელებაში ადანაშაულებს

ხელოვნებათმცოდნე სოფო კილასონიაა დედაქალაქის თეატრებს ჰომოფობიის გავრცელებაში ადანაშაულებს:

– თბილისს იქით, თეატრებში ჰომოფობია მძვინვარებს.

თან კარგად დაფინანსებულ დიდ სახელმწიფო თეატრებში.

დღეს, ამაზე დიდ ბოროტებას თეატრი ვერ ჩაიდენს.

დედაქალაქმა დაუდო ამას დასაბამი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

თემურ თათარაშვილს სიმღერა მოპარეს

მომღერალ თემურ თათარაშვილს სიმღერა მოპარეს. საუბარია მის ახალ ნამუშევარზე „გული ადამიანობს“, რომელიც მსმენელში უკვე დიდი მოწონებით და პოპულარობით სარგებლობს:

– რაც ვიმღერე სიმღერა „გული ადამიანობს“ იმ დღის მერე, ბევრი რესტორნის მომღერალი, უცნობი თუ ნაცნობი მთხოვდა ამ სიმღერის მინუს ფონოგრამას. მე, რა თქმა უნდა, ვპასუხობდი, რომ ჯერ ახალი სიმღერაა და ვერ მოგცემთ-მეთქი.

და, აი, დღეს გავიგე, რომ თურმე მაინც მომპარა ვიღაც ვირთხამ და უკვე გაბაზრდა მისნაირ ტიპებში ეს ფონოგრამა. უბრალოდ იმას ვერ ფიქრობენ, რომ მარტო მინუს ფონოგრამა ვერაფერს მისცემს მათ პაწაწინა ტვინებს. ჯერ იმღერონ და მერე გაიხარონ... და იმისი დედის დედა, ვინც ეს გააკეთა და მოიპარა ვირთხასავით! დილიდან ისეთ ხასიათზე დავდექი, რომ ვერც კი გადმოგცემთ...

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

13 ივნისისთვის

- აშშ დოლარი — 2.4473
- ევრო — 2.8832
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2674
- 100 რუსული რუბლი — 3.9094

ამინდის პროგნოზი 13 ივნისისთვის



სერია თანამედროვე რუსული ბესტსელერი

18 მაისიდან ვიქტორ სუვოროვი **აკვარიუმი**

ეს წიგნი რუსული გრუ-ს საიდუმლო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

25 მაისიდან

დინა რუბინა

პეტრუშკას სინდრომი

„პეტრუშკას სინდრომი“ დინა რუბინას ყველაზე დრამატული რომანია. მისი ყოველი ახალი რომანი ბესტსელერია და გამოცემისთანავე ათეულობით ენაზე ითარგმნება.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

1 ივნისიდან

ვიქტორ პელევინი

სამი ცუკერბრინის სიყვარული

ფეისბუქი, გუგლი, უკრაინა, მომხმარებლის კულტი, ტოლერანტობა, ტერორიზმი, იმ ტრენდებს შორისაა, რასაც წიგნი ეხება.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

8 ივნისიდან

ევგენი ვოდოლაზკინი **ლავროსი**

სნეულთა განკურნების განსაცვიფრებელი უნარით დაჯილდოებული არსენი სიკვდილისგან ვერ იხსნის საყვარელ ქალს. სწორედ ეს იქცევა მისი ცხოვრების გარდამტეხ მომენტად.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუბეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

სერია ნამდვილი დეტექტივი

22 მაისიდან ნაიო მარში **კაცი იწვა მკვდარი**

დეტექტივი როდერიკ ალეინი ინგლისის ერთ-ერთ რესპექტაბელურ სახლში „მკვლელობანას“ თამაშის დროს მომხდარ ნამდვილ მკვლელობას იძიებს. მსხვერპლი მონღოლური წარმოშობის რუსული სარიტუალო ხანჯლით არის მოკლული.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

29 მაისიდან

ანდრეა კამილერი **წყლის ფორმა**



ზღვისპირა იტალიური ქალაქის უმდიდრესი ადამიანი და არაფორმალური მმართველი პიკანტურ ვითარებაში იღუპება. ყველა დაინტერესებულია ამ საქმით, რომის პაპით დაწყებული, პროვინციელი მოსამართლით დასრულებული.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

5 ივნისიდან

გილბერტ ჩესტერტონი

მამა ბრაუნის სკანდალური ამბავი

მამა ბრაუნი ჩია, პროვინციელი კათოლიკე მღვდელია, არც რამე სისტემა გააჩნია ჩახლართული დანაშაულების გასახსნელად. ბოროტმოქმედების მხილება მისი ჰობია, რაც ძალიან კარგად გამოსდის.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

12 ივნისიდან

როს მაკდონალდი შიში



ოთხმაგი მკვლელობა. ოთხი გარდაცვლილი. პირველ მსხვერპლს დანარჩენებისგან წლები აშორებს, მაგრამ მკვლელობა ერთი პიროვნების ხელით ხდება. მკვლელის ვინაობას, რამდენიც უნდა ეცადოთ, ვერ გამოთვლით, მხოლოდ ბოლო გვერდზე ამოიკითხავთ და გაოცდებით.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

დედამ და მამინაცვალმა რვა წლის ბავშვი გეიდ გამოაცხადეს



აშშ განაჩენი გამოუტანეს ქალს და მამაკაცს, რომლებმაც რვა წლის ბავშვი იმით დატანჯეს, რომ მას გეიდ თვლიდნენ.

34 წლის პერლ ფერნანდესს, რომელმაც თებერვალში შვილის მკვლელობაში თავი დამნაშავედ ცნო, სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. მის ბოიფრენდს, 37 წლის ისაურო აგირეს, რომელიც დანაშაული ნაფიცმა მსაჯულებმა 2017 წელს დაადგინეს, სიკვდილით დასჯა მიესაჯა.

2013 წლის მაისში ფერნანდესმა ექსტრემალურ სამსახურში დარეკა და აცნობა, რომ მისი შვილი არ სუნთქავდა. ქალი ამტკიცებდა, რომ ის დაეცა და თავი კომოდს მიარტყა. მას თავის ქალის ძვლების მოტეხილობა დაუდგინეს, ასევე ჩამტვრეული ჰქონდა ნეკნები და სხეულზე დამწვრობები აღენიშნებოდა. ბავშვი ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

ფერნანდესის მეორე შვილმა პოლიციას განუცხადა, რომ დედა და მამინაცვალი რვა წლის ბავშვს გეიდ თვლიდნენ. ამის გამო მას ხშირად სცემდნენ, სჯიდნენ, თუ ის თოჯინებით თამაშობდა, და აიძულებდნენ, სკოლაში გოგონას ტანსაცმლით ევლო. გარდა ამისა, ბიჭს აშიმშილებდნენ, კოჭავდნენ და კარადაში ძილს აიძულებდნენ. პნევმატური პისტოლეტიდან ესროდნენ და ბეისბოლის ჯოხით კბილი ჩაუმტვრიეს.

მოსამართლემ ფერნანდესისა და აგირეს ქმედებებს არაადამიანური უწოდა.

– ეს ცხოველურ საქციელსაც კი სცილდება, ვინაიდან ცხოველებმაც კი იციან, თუ როგორ იზრუნონ საკუთარ შთამომავლებზე, – განაცხადა მოსამართლემ.

სექს-რობოტები უსარგებლონი გამოდგნენ

მკვლევარებმა ერთი იმის დამადასტურებელი მტკიცებულებაც კი ვერ აღმოაჩინეს, რომ სექს-რობოტებს შეუძლიათ თერაპიული ზემოქმედება მოახდინონ ადამიანზე ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას ხელი შეუწყონ.

სპეციალისტებმა ასეულობით სამეცნიერო რობოტი შეისწავლეს, რომლებიც ამ ინდუსტრიაში გამოიყენება და გამოარკვიეს, რომ არც ერთი კვლევა არ ადასტურებს ასეთი თოჯინების რაიმე სახის სამკურნალო თვისებებს. დასკვნაში ხაზგასმულია, რომ მსჯელობა უსაფრთხო სექსზე ან პედოფილიის მკურნალობაზე დღემდე მხოლოდ ვარაუდს წარმოადგენს და მეტს არაფერს.

ამის მიუხედავად, მკვლევარებმა კოლეგებს ამ სფეროში მუშაობის გაგრძელებისკენ მოუწოდეს.

სექს-თოჯინების შემქმნელები ამტკიცებენ, რომ ისინი არა მხოლოდ ეროტიკული შეგრძნებების დასაკმაყოფილებლად არიან შექმნილები. მწარმოებლები ამტკიცებენ, რომ რობოტებს იმ დაავადებებთან ბრძოლაში, რომლებიც სქესობრივი გზით გადაეცემა. მნიშვნელოვანი დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ხომ ვერ მეტყვი, რაში სჭირდება ჩვენს ქვეყანას ასეთი ფეხბურთელთა ნაკრები?

– იმისთვის, რომ ხალხის მთავრობის მიმართ უკმაყოფილება და განრისხება, ნაკრებზე გადაიტანოს.

●●●

ტელეფონი რეკავს:

– ალო, ეს პარანოიდების კლუბია?

– დიახ, და როგორ მოგვაგენით?

●●●

სოფლელს ქალაქიდან ნათესავი ესტუმრა. ზამთარია, ცივა, მამაკაცები ღუმელთან სხედან, მასპინძელი გიტარაზე უკრავს, სტუმარს ართობს. ნათესავი ეკითხება:

– კი მაგრამ, შენი ცოლი სად არის?

– გარეთაა, სახლის უკან შეშას ჩეხს.

– ეს როგორ? შენ აქ სითბოში ზიხარ, გიტარაზე უკრავ, შენი ცოლი კი გარეთ ყინვაში შეშას ჩეხს!

– აბა რა ვქნა, გიტარაზე დაკვრა მაგან არ იცის და...

●●●

საღამოს ქმარი ცდილობს მეუღლეს ჩაეხუტოს და სექსზე დაითანხმოს. ცოლი პასუხად ეუბნება:

– ისე მტკივა თავი, ისეთი დაღლილი ვარ...

– კარგი, მაშინ ახლავე ჩვენ მეზობელ ლამარასთან შევირბენ, წამალს გამოვართმევ და ერთ საათში დავბრუნდები...

●●●

კაცმა ზღვის ნაპირზე გამორიყული ბოთლი იპოვა. იფიქრა, იქნებ ჯინი იჯდეს შიგნითო, დაჯდა და ხელის გადასმა დაიწყო, გავიდა ერთი საათი, ორი, სამი. ბოლოს რომ დაიღალა, ბოთლიდან ხმა ესმის:

– საცობი მოხსენი უტვინო, საცობი!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი ა

შვეულად: 1. ნიადაგის ნაყოფიერების, ბარაქის, სიუხვის ღვთაება სვანეთში; 2. სოფელი ხევსურეთში; 3. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 4. ტბა სამხრეთ საქართველოში; 5. თბილისში მოღვაწე გერმანელი არქიტექტორი, ქაშვეთის ეკლესიის პროექტის ავტორი; 7. ორნახშირმჟავა ნატრიუმის საყოფაცხოვრებო სახელწოდება; 11. მუნჯი კინოს აკომპანიატორი პიანისტი; 13. პოპულარული ტყე-პარკი ვენაში; 15. გემების სადგომი ნავსადგურში; 16. ცალკე მცხოვრები ოჯახი სოფლად; 18. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 19. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი.

თარაზულად: 6. ქართველი პოლიტიკოსი მამაკაცი; 8. ქალთა ჯგუფური ცეკვა, რომელიც კაბარეში სრულდება; 9. ღვიძლის მიერ გამომუშავებული მომწვანო-ყვითელი სითხე; 10. უფლისწულის ტიტული ესპანეთში; 12. ლუთერანული ეკლესია; 14. პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 17. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 20. ატომგულის დადებითად დამუხტული ელექტრონული ნაწილაკი; 21. წინასწარი მონახაზი; 22. აეროპორტი პრაღაში; 23. დუქნის დახლიდარი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა